ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პროკურორი: „სასამართლო დარწმუნდება, რომ სარალიძის მკვლელობის საქმეზე გიორგი მენაბდემ დანაშაული ჩაიდინა“



გვ.5

გვ.5



## გოგი წულაია ციხიდან გამოუშვეს

„ახმათ დვალიშვილი უშიშროების თანამშრომელია“

პარასკევი, 2 ივლისი, 2021 №119 (8648) ფასი: 60 თეთრი

# „ჩემი კანდიდატურა თბილისის მერად არ განიხილება“




გვ.2

ლევან ხაბეიშვილი: „ცესკოს თავმჯდომარედ ნინო ლომჯარიას ან ეკა გიგაურს ვისურვებდი“






## „რატომ უღირს ასე ძვირი მოსამართლეთა ეს ჯგუფი „ქართულ ოცნებას“?!

გვ.3



რამაზ საყვარელიძე: „ჟვანიას გადადგომა მისი პირადი ინიციატივა იყო“

## „გახარიას მორალური უფლება არ აქვს, სუსის მოსმენებსა თუ კორუფციაზე ისაუბროს“



გვ.3



ნიკა ჩიტაძე: „პრაიდის გამართვასთან დაკავშირებით „ოცნებას“ პოპულისტური გათვლა აქვს“

## „ოპოზიციისთვის ხმების დაცვა ურთულესი ამოცანაა“




გვ.4



თამარ ჩხეიძე: „ჩემთვის მიუღებელია საზოგადოების ორივე რადიკალური ჯგუფი, რომელიც 5 ივლისს აქტიურობას აპირებს“

## ნათელაშვილი: „მოვუწოდებ პრეზიდენტს, კანონპროექტს ვეტო დაადოს“

გვ.4



ISSN 1987-9385

**2** გახარია: „ოცნებამ“ ვერც თამარ ჟვანია დაიცვა და ვერც — არჩევნების შედეგები“

**4** თაკო ჩარკვიანი: „ჟვანიას გადაყენება მოსამართლეების უვადოდ გამწესებას ხომ არ უკავშირდება?“

**5** ზესტაფონში მკვლელობის საქმეზე დაკავებული პოლიციელი თავს დამნაშავედ არ ცნობს

**6** ისრაელის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელი თანამდებობას ტოვებს

# „ჩემი კანდიდატურა თბილისის მერად არ განიხილება“

## ლევან ხაბეიშვილი: „ცესკოს თავმჯდომარედ ნინო ლომჯარიას ან ეკა გიგაურს ვისურვებდი“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.**

***– ლევან, გავრცელდა კულუარული ინფორმაცია, რომ თბილისის მერობის კანდიდატი ნაციონალური მოძრაობიდან თქვენ იქნებით. მიდასტურებთ ამ ინფორმაციას?***

– არა, რა თქმა უნდა, ვერ დაგიდასტურებთ, იმიტომ რომ პარტიაში ამასთან დაკავშირებით მსჯელობა არ ყოფილა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი უნდა ყოფილიყო ნიკა მელია. ეს იქნებოდა ყველაზე სწორი და კარგი. ამიტომ ჯერ იმედს არ ვკარგავთ. ასევე სხვა ოპოზიციურ პარტიებთან საუბარი გვაქვს სხვადასხვა კანდიდატზე, მათ შორის ისეთზე, რომელიც, შესაძლოა, საერთოდ არ იყოს პარტიული კანდიდატი. ამიტომ რამდენიმე დღეში შევიკრიბებით და ვისაუბრებთ ყველა საკითხზე. ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, რომ ნიკა მელია იყოს ერთიანი ოპოზიციის კანდიდატი. ჩემი აზრით, გამარჯვების ფორმულა ეს არის და გლდანის შედეგებმაც ეს ნათლად დაგვანახა. რაც შეეხება ჩემს კანდიდატურას, არც განხილულა და არც დღის წესრიგში დგას.

***– თუკი არ მოხერხდა ერთიან კანდიდატზე შეთანხმება, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი მაინც ნიკა მელია იქნება?***

– ამ შემთხვევაში პარტიაში იქნება მსჯელობა. მე ჩემს სუბიექტურ აზრს მოგახსენებთ. ნიკა მელიას კანდიდატურა იქნება ნებისმიერ შემთხვევაში მომგებიანი, მათ შორის, საერთო ბრძოლაშიც, იქნება ეს ნაციონალური მოძრაობიდან თუ იქნება ეს გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი. მე მაინც მჯერა, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი რაღაც შეთანხმებას მიაღწევს, იმიტომ რომ ჩვენ უნდა გავიდეთ საბრძოლველად და არა უბრალოდ მონაწილეობის მისაღებად. ამას კი სჭირდება ისეთი კანდიდატი, რომელსაც ერთხელ უკვე დამარცხებული ჰყავს „ოცნება“ და ასეთი ნამდვილად არის ნიკა მელია.

***– თქვენ საუბრობთ ნიკა მელიასა და ერთიან კანდიდატზე, მაგრამ ოპოზიციაში რამდენად ხედავთ ამის მზაობას? სულ მესმის შეფასებები, რომ ოპოზიცია ასე დაქუცმაცებული და დაპირისპირებული არასდროს ყოფილა.***

– რომ გითხრათ, დიდი მზაობაა ოპოზიციაში-მეთქი, მოგატყუებთ. თქვენც კარგად ხედავთ, რა სიტუაციაა. თუმცა, პირობითად, თუ არ იქნება ნიკა მელია, იქნებ მათ შემოგვთავაზონ ისეთი კანდიდატი, რომლის გარშემოც შეძლებს სრულიად ოპოზიცია გაერთიანებას.

***– თუკი იქნება ასეთი კანდიდატი, მხარს დაუჭერთ?***

– კი, რა თქმა უნდა. ჩვენ კონსულტაციები გვაქვს სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასთან. მათ შევთავაზეთ ჩვენი პოზიცია და ვუთხარით, რომ იყოს საერთო ოპოზიციური კანდიდატი და შევჯერდეთ ერთობლივად. ჩვენ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ, გინდ პარტიული იყოს, გინდ არაპარტიული.



***– „ლელომ“ თემურ ჭყონია დაასახელა. რამდენად სერიოზულად მიიღეთ ეს კანდიდატი და მხარს თუ დაუჭერთ?***

– რატომაც არა. ყველა კანდიდატის განხილვა შეიძლებოდა. უბრალოდ, უხერხულობას, იცით, რა მიქმნის? ბატონ ჭყონიას უნდა თუ არა თბილისის მერობა?! ვიცით მისი პოზიცია, რომ ეს სულაც არ აინტერესებს. ამიტომ, მე მგონია, რომ უფრო რეალისტები უნდა ვიყოთ და ვისაუბროთ ისეთ კანდიდატებზე, რომლებსაც ამის სურვილი აქვთ. ბატონმა ჭყონიამ თავად განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობის არანაირი სურვილი არა აქვს. ვფიქრობ, თუ ისეთი კანდიდატი იქნება, რომელიც ბრძოლისთვის მზად არის და ოპოზიცია მხარს დაუჭერს, რა თქმა უნდა, ჩვენც დავუჭერთ მხარს. თუ ასეთი კანდიდატი არ გამოჩნდა და ვერ შევთანხმდით, მაშინ, რას ვიზამთ. ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებთ, გვეყოლება საკუთარი კანდიდატი და ბოლომდე ვიბრძოლებთ.

***– ლევან, არაერთი მოწოდება იყო, რომ დოკუმენტზე ხელი მოგეწერათ. ოპოზიციის კრიტიკაც კი დაიმსახურეთ – თუ პარლამენტში შევიდნენ, ხელიც მოაწერონო. ამერიკის ელჩმაც მოგიწოდათ შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერისკენ, თუმცა თქვენ რჩებით თქვენს პოზიციაზე. რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილება?***

– დოკუმენტის ხელმოწერასთან დაკავშირებით ჩვენს პარტიაში იყო პრინციპული პოზიცია და ეს ეხებოდა კონკრეტულად ამნისტიის საკითხს, რომ ამნისტიას ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებოდით. სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა ხელიც მოაწერეს და მხარიც დაუჭირეს ბევრ რამეს, ჩვენ კი სულ სხვა პოზიცია გვაქვს. რაც შეეხება პარლამენტში შესვლა-არშესვლის საკითხს...

***– რამდენად მოიგო ან წააგო ნაცმოძრაობამ ამით?***

– ამით თუ ვინმემ წააგო, პირველ რიგში წააგო ჩვენმა მოსახლეობამ, რადგან ჩვენ გვინდოდა რაც შეიძლება მალე ჩატარებულიყო ვადამდელი არჩევნები, თუმცა დანარჩენმა ოპოზიციამ ხელი მოაწერა და შევიდა. ეს ცალკე თემაა, კიდევ რას მოაწერეს ხელი. აღარც მინდა ამაზე საუბარი. იმ რეალობიდან, რომელიც ახლა დადგა, მიმაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილება იყო სწორი. რომ არ შევსულიყავით, არც ამით დაიქცეოდა ქვეყანა, მაგრამ, რასაც მე პარლამენტში ვუყურებ, ვაკვირდები გარკვეულ ჯგუფებს, მიმაჩნია, რომ ნამდვილად უნდა იყოს იქ ნაციონალური მოძრაობა წარმოდგენილი, თუ მართლა რეალური ოპოზიციაა საჭირო ქვეყნისთვის. ჩვენი არშესვლით მხოლოდ საკუთარ თავს დავიზიანებდით. ფაქტია, რომ ვადამდელ არჩევნებამდე მისასვლელი გზა არჩევნებზე გადის და არა – პირობითად მოლაპარაკებებზე. შესაბამისად, ისეთ ბოიკოტში ყოფნა, რომელსაც აზრი აღარ აქვს, მე არ მგონია, ნორმალური იყოს. ჩვენი პარტიისთვის იყო ეს ძალიან მნიშვნელოვანი, თუნდაც დაფინანსების თვალსაზრისით. „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად არ უნდოდა ჩვენი პარლამენტში ყოფნა და ეტყობა კიდეც, რამდენად განერვიულებულია ამ საკითხით. პარლამენტში ყოფნით თუ შევაჯანჯღარებთ „ოცნებას“, თორემ დაშავებით არაფერს დავაშავებთ.

***– „ოცნება“ ახსენეთ და აცხადებენ, ოპოზიციისგან განსხვავებით, ჩვენ პირნათლად ვასრულებთ შარლ მიშელის დოკუმენტს, ვცვლით საარჩევნო სისტემასო. გუშინ თამარ ჟვანიაც გადადგა. ამაზე რას იტყვი?***

– რას ასრულებენ, კარგით რა! გარდა იმისა, რომ ამნისტიის პრობლემა იყო, ჩვენი დასავლელი პარტნიორები ამ საკითხებზე ძალიან ღელავენ, თუნდაც სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით. „ქართული ოცნება“ არ არის არანაირი რეფორმის გამტარებელი. მათ პირობებში არანაირი თავისუფალი სასამართლო ჩვენს ქვეყანას არ ექნება. ამას ხედავს ამერიკის საელჩოც და ვისმენთ ელჩის განცხადებებს, რომელიც ყვითელი მარკერით უხაზავს დოკუმენტს. ეს დოკუმენტი ჩვენთვის არ გაუყვითლებიათ. ეს გაუხაზეს „ქართულ ოცნებას“, რომ კარგად ამოიკითხონ, რა წერია შარლ მიშელის დოკუმენტში. თავად მოაწერეს ამ დოკუმენტს ხელი და ახლა თავად აღარ ასრულებენ, მათ შორის – მოსამართლეების ნაწილში.

***– თამარ ჟვანიას წასვლაზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება თამარ ჟვანიას გადადგომას, ეს რომ მისი ნებით გაკეთებული განცხადება არ არის, ამას მოწმობს ისიც, რომ ერთი კვირის თავზე, პარლამენტში რომ იყო, იქ თქვა, რომ აპირებს დარჩეს, ჩაატაროს ეს არჩევნებიც და ასე შემდეგ.

***– და რა შეიცვალა?***

– ფაქტია, რომ გადააყენეს. ეს იყო ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორისა და, რაც მთავარია, ჩვენი დასავლელი პარტნიორების გადაწყვეტილება. სასამართლოსთან დაკავშირებით არაფერს ასრულებენ და ახლა ცესკოსთან დაკავშირებითაც რომ გაჯიუტებულიყვნენ, ეს კიდევ უფრო მძიმე შედეგს დააყენებდა მათთვის.

***– ანუ დასავლეთის ზეწოლის შედეგი იყო?***

– რა თქმა უნდა. ახლა მთავარი ის არის, რომ ახალი თამარ ჟვანიას არჩევის საშუალება არ მივცეთ. ეს კი არის იმის აღიარება, რომ 2020-ის არჩევნები ნამდვილად გაყალბდა. ასე რომ არ ყოფილიყო, არც ვადამდელი დადგებოდა დღის წესრიგში და არც ცესკოს თავმჯდომარეს გაუშვებდნენ. „ოცნება“ ყველანაირად შეეცდება, ცესკოში თამარ ჟვანია ორი დასვას. ეს არ უნდა დავუშვათ. მე ცესკოს თავმჯდომარედ ნინო ლომჯარიას ან ეკა გიგაურს ვისურვებდი. კარგი იქნება, თუ მათ კანდიდატურებს განიხილავენ.

***– რას იტყვით გიორგი გახარიას შესახებ, რამდენად შეუქმნის ოპოზიციას პრობლემებს და წაართმევს ხმებს?***

– არა. გახარია თუ ვინმეს შეუქმნის პრობლემებს, ეს არის ხელისუფლება. ის არის „ქართული ოცნების“ განაყოფი და, თუ ვინმეს დააზარალებს, დააზარალებს მხოლოდ მათ. ეს ძალიან ლოგიკურია. ამ საკითხში ვუგულშემატკივრებ კიდეც გახარიას, რომ „ქართული ოცნება“ რაც შეიძლება დაასუსტოს, რასაც, ფაქტია, ახერხებს. კვლევებიდანაც უკვე ჩანს, რომ ასეა. „ოცნების“ ხმები ორად გაიყოფა.




# სალომე ზურაბიშვილი პარიზში ემანუელ მაკრონს შეხვდა

სალომე ზურაბიშვილი პარიზში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს შეხვდა.

ელისეს სასახლეში საქართველოსა და საფრანგეთის პრეზიდენტებმა განიხილეს ქვეყნებს შორის ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებისა და განვითარების საკითხები, რეგიონში მიმდინარე პროცესები, ევროკავშირის როლი რეგიონში და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები.

საქართველოს და საფრანგეთის პრეზიდენტებმა ისაუბრეს „დიმიტრი ამილახვარის სახელობის ფრანგულ-ქართული დიალოგის“ აღდგენის საკითხზე, რომელსაც ხელი ორმა პრეზიდენტმა 2019 წლის თებერვალში პარიზში მოაწერა და რაც თანამშრომლობის ამ უნიკალურ ფორმატში საქართველოსა და საფრანგეთს შორის ორმხრივი ურთიერთობების მთავარ ასპექტებს მოიცავს და ასახავს ამ თანამშრომლობის ხარისხსა და ინტენსივობას. საქართველოს პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე ჰუმანიტარული ვითარების, საოკუპაციო რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევებისა და ადამიანთა გატაცებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.



მხარეებმა ასევე განიხილეს მიმდინარე წელს საფრანგეთში ქართული ემიგრაციის 100 წლისთავის აღნიშვნის საკითხი.

# გახარია: „ოცნებამ“ ვერც თამარ ჟვანია დაიცვა და ვერც – არჩევნების შედეგები“

– „ქართულმა ოცნებამ“ ვერც არჩევნების შედეგები დაიცვა და ვერც – საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, დარწმუნებული ვარ, თვითონ შეუწყო ხელი მის გადადგომას.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გიორგი გახარიამ 1 ივლისს გორში ჟურნალისტებს განუცხადა, სადაც პარტიის რეგიონული ოფისი გაიხსნა.

– თამარ ჟვანიას გადადგომას შევაფასებ შემდეგნაირად. ერთხელ უკვე ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ. 2020 წელს, შემოდგომის საპარლამენტო არჩევნები იყო აბსოლუტურად ლეგიტიმური. ეს დაადასტურეს საერთაშორისო დამკვირვებლებმაც. როგორც ვერ დაიცვა „ქართულმა ოცნებამ“ თავისი უსუსურობით ამ არჩევნების შედეგები, ზუსტად ასე ვერ დაიცვა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და დარწმუნებული ვარ, თვითონ შეუწყო ხელი მის გადადგომას, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისივე თქმით, ბრიუსელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტების დროს „ქართული ოცნება“ მათი დასაცავი გახდა.

როგორც გახარია აღნიშნავს, „ქართული ოცნება“ ივიწყებს, რომ სახელმწიფოს მართავენ და უსუსური ნაბიჯებით ქვეყანას და სახელმწიფოს აზიანებენ.

– ჩვენ გვქონდა ძალზე საინტერესო და ინტენსიური ვიზიტი ჯერ ბრიუსელში, შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენი დასაცავი გახდა ამ ვიზიტების დროს „ქართული ოცნება“. ის არათანმიმდევრული, ხშირ შემთხვევაში სულელური ნაბიჯები, რომელთაც პარტიის დღევანდელი ხელმძღვანელობა დგამს, ჩვენი დასაცავი გახდა მათი ეს ნაბიჯებიც.

ეს ხალხი ივიწყებს, ვერ იაზრებს, რომ მარტო პარტიას კი არა, სახელმწიფოს მართავენ, თავისი არათანმიმდევრული, უსუსური ნაბიჯებით ქვეყანას და სახელმწიფოს აზიანებენ.

ჩვენ ეს პასუხისმგებლობა გვესმის. რამდენიმე საკითხია, როდესაც „ქართული ოცნება“, შესაბამისად, სახელმწიფო ჩვენი დასაცავი გახდა. ეს ყოველთვის გაგრძელდება იქ, სადაც სახელმწიფო ინტერესებია. ოკუპაცია ზეპარტიული საკითხია, ისევე როგორც ვაქცინაცია და ვირუსთან ბრძოლა.

იქ, სადაც ჩვენი მოქალაქეები შეთანხმდნენ, რომ დეოკუპაცია ქვეყნის უმთავრესი მიზანია, ეს პარტიები რაზე ჩხუბობენ და დაობენ, არ მესმის. იქ, სადაც სახელმწიფო ინტერესებია, ვინც სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, ჩვენ არანაირი კომპლექსი სიმართლისთვის თვალის გასწორების არავისთან არ გვაქვს. სადაც ვხედავთ, რომ არათანმიმდევრული, ხშირად სულელური ნაბიჯები აზიანებს სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, უაღრესად კრიტიკულები ვიქნებით, – აღნიშნა გახარიამ.

მის პარტიას 8 მაისიდან 25 ივნისის ჩათვლით პერიოდში 105.213 ლარი შესწირეს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, პარტიის მიმართ ფულადი შემოწირულება 21-მა სუბიექტმა განახორციელა.

აღსანიშნავია, რომ შემომწირველებიდან პარტიას ყველაზე მეტი – 25-25 ათასი ლარი პარტიის წევრებმა, ალექსანდრე მოწერელიამ და გიორგი ხოჯევანიშვილმა შესწირეს.

შემომწირველებს შორისაა პარტიის წევრი, დეპუტატი ანა ბუჩუკური.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „გახარიას მორალური უფლება არ აქვს, სუსის მოსმენებსა თუ კორუფციაზე ისაუბროს“

## ნიკა ჩიტაძე: „პრაიდის გამართვასთან დაკავშირებით „ოცნებას“ პოპულისტური გათვლა აქვს“

იაგო ნაცვლიშვილი



**რამდენად გამართლებულია გიორგი გახარიას პოლიტიკა, როდესაც პრობლემებზე ახლა საუბრობს და ამაზე ხმას არ იღებდა მაშინ, როდესაც პრემიერი იყო? რამდენად იმოქმედებს მის რეიტინგზე გავრცელებული ინფორმაცია, რომ სააკაშვილს შეხვდა და შეძლებს თუ არა „ოცნება“ მის ბურჭულიზაციას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.**

***— გახარია აცხადებს, რომ სუსი უსმენს, რაც გასაკვირი არ არის, მაგრამ ჩნდება კითხვა — სად იყო აქამდე? როდესაც პრემიერი იყო, არ იცოდა, რომ ოპონენტებს უსმენდნენ? ან თუნდაც მას რომ უსმენდნენ, ამაზე მედია მისი პრემიერობის დროსაც საუბრობდა. რამდენად სწორია, როდესაც დღეს იწყებს ამაზე საუბარს?***

— ჩემი აზრით, არ არის სწორი, იმიტომ რომ, ბუნებრივია, მისი პრემიერმინისტრობის დროს ქვეყანაში ვერ გამყარდა დემოკრატიული ინსტიტუტები, პირიქით, უამრავი დემოკრატიული ინსტიტუტი დასუსტდა და ამაში წვლილი გახარიასაც მიუძღვის. ის გახლდათ შს მინისტრი 20 ივნისის მოვლენების განვითარების დროს. ვიცით, რომ სუსი უსმენდა ბევრ ოპონენტს. გახარიას მაშინ უნდა გამოეხატა პროტესტი და მაშინ უნდა გადამდგარიყო.

იგივე, როდესაც ის დღეს აცხადებს, რომ საქართველოში არსებობს ნეპოტიზმი და კორუფცია. თავისი პრემიერმინისტრობის დროს კი ამ ყველაფერზე პასუხები არ ჰქონდა. გახსოვთ, როდესაც მას კითხვა დაუსვეს საპარლამენტო ტრიბუნიდან, უპასუხა, ქართულ ჯიგრულ პონტში რა მოხდაო და არაფერი ისეთი არ ხდება, ანუ, როდესაც ის პრემიერი იყო, ხდებოდა გარიგებები ე.წ. ქართულ ჯიგრულ პონტში და, როდესაც დღეს საუბრობს კორუფციასა და ნეპოტიზმზე, მას ამის მორალური უფლება არ აქვს.

მაშინ უნდა ეყოს ვაჟკაცობა და აღიაროს, რომ მისი პრემიერობის დროს ვერ გადაწყდა ბევრი პრობლემა, იქნებოდა ეს სუსის მხრიდან მოსმენები, ნეპოტიზმთან დაკავშირებული კორუფციული გარიგებები თუ 20 ივნისი. მან საზოგადოებას ბოდიში უნდა მოუხადოს 20 ივნისის მოვლენების გამო.

***— მაგრამ ეს ხომ იმის აღიარება იქნება, რომ ის სუსტი მენეჯერი იყო, რადგან ვერ აკონტროლებდა იმას, რაც პრემიერს ევალება. სასწორზე ხომ არ დევს ეს და ხომ არ ურჩევნია, რომ ამის აღიარების ნაცვლად მხოლოდ დღევანდელ პრობლემებზე ილაპარაკოს?***

— კი, რა თქმა უნდა, აწყობს, რომ დღეს ილაპარაკოს პრობლემებზე და მოიგოს მოსახლეობის გული. მან რომ იმაზე ილაპარაკოს, როგორი სუსტი მენეჯერი იყო, ბუნებრივია, საზოგადოების გარკვეული ნაწილი მას აღარ მიემხრობა. დღეს, ასეა თუ ისე, მისი პარტია მესამე ადგილზეა სოციოლოგიური გამოკითხვებით. ის ახლადდაარსებული პარტიაა და უსწრებს შედარებით გამოცდილ პარტიებს, მაგალითად, „ევროპულ საქართველოს“, „ლელოს“, „სტრატეგია აღმაშენებელს“ და აშ. ეს არის რეალობა და ეს იმის გამოა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი მას აღიქვამს, როგორც ძლიერ მენეჯერს, მაშინ, როდესაც პანდემიის დროს ქვეყანამ აიღო უზარმაზარი ვალი. საქართველოს ვალი დღეს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 60%-ია. მისი პრემიერობის დროს გაჩერდა ანაკლიის პროექტი, ანუ მნიშვნელოვანი მიღწევები მისი პრემიერობის დროს არ ყოფილა, სხვათა შორის, განსხვავებით კვირიკაშვილის პრემიერმინისტრობის პერიოდისგან.

მაგალითად, კვირიკაშვილის პრემიერობის დროს ჩაეყარა საფუძველი ანაკლიის პორტის მშენებლობას, მის დროს მოეწერა ხელი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას ჩინეთთან. დღეს რომ აქტიურად შემოდის საქართველოში ჩინეთი, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანაა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ამის შედეგია. ჩინეთი მესამე სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის და იზრდება სავაჭრო მოცულობა. ასევე დაწესდა აქციზი საწვავზე. კი ბატონო, ეს ურტყამს მძღოლებს, მაგრამ დაახლოებით მილიარდი ლარის შემოდინებას უზრუნველყოფს ბიუჯეტში. ასევე განხორციელდა მოგების გადასახადის რეფორმა, ანუ კვირიკაშვილის პრემიერობისას უფრო იგრძნობოდა ცვლილებები და ჩანდა, რომ ქვეყანას ჰყავდა პრემიერი. გახარია, ჩანდა, რომ თითქოს ძლიერი მენეჯერი იყო და კოვიდის პრობლემებს უმკლავდებოდა, მაგრამ ამ დროს ქვეყანამ მიიღო დამატებითი ვალი. საბოლოოდ გამოჩნდა, რომ კოვიდსაც ვერ გაუმკლავდა. დავინახეთ, რომ მეორე ტალღამ სავალალო შედეგები მოიტანა.

***— რაზე ვლაპარაკობთ, როდესაც ვაქცინები ვერ უზრუნველყვეს.***

— მათ შორის ესეც იყო.

***— კი ამბობთ, რომ გახარიას პარტია რეიტინგით მესამე ადგილზეა, მაგრამ მამუკა მდინარაძემ თქვა, რომ ეს იყო, სანამ „შემთხვევითი შეხვდებოდა“ სააკაშვილს ვაშინგტონში. „ოცნებას“ მეტი საზრუნავი არ აქვს, რომ გახარიას რეიტინგები თვალოს? მეორეა ის, თუ იმოქმედებს ეს ფაქტი გახარიას რეიტინგზე?***

— ჯერ ერთი, „ოცნებამ“ ვერ დაადასტურა, მართლა შეხვდა თუ არა სააკაშვილი გახარიას. ამის მტკიცებულებები არ არსებობს, მაგრამ ცდილობს, რომ გახარიას რეპუტაცია შეურყიოს, რადგან ისინი, ვინც გახარიას პარტიას უჭერენ მხარს, არ არიან ნაცმოძრაობის მხარდამჭერები. ვიცი ადამიანები, რომლებმაც 2020 წელს მხარი დაუჭირეს „ოცნებას“ გახარიას ფაქტორის გამო, რადგან ძლიერ მენეჯერად თვლიდნენ.

„ოცნებას“ რაც შეეხება, ვიცით, რომ ჭორების გავრცელების ოსტატები არიან შავი პიარის აგორების თვალსაზრისით. ჭორი ააგორეს და არავინ სთხოვს მათ პასუხს.

***— დააანონსეს გახარიას ბურჭულიზაცია. შეძლებენ მას?***

— ბურჭულაძის პარტიამ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 3%-ზე მეტი ვერ მიიღო, მაგრამ გახარიას პარტია 8-9%-ს აიღებს.



***— გვახსოვს, როგორც ებრძოდნენ ბურჭულაძეს, პირდაპირ გააიგივეს მიშასთან, რაც გახარიასთან მიმართებითაც მიმდინარეობს. პრაქტიკულად, არჩევნებამდე დაანგრიეს პარტია. ახლაც თუ შეძლებენ ამას?***

— პარტიამ ხმები ვერ მიიღო და ამიტომაც დაიშალა. ბურჭულაძე ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწედ აღიქმებოდა, მაგრამ გახარიას მაინც პოლიტიკოსად აღიქვამენ და ამიტომაც არის მისი რეიტინგი უფრო მაღალი. თუ გახარია არ არის ივანიშვილის პროექტი, „ოცნება“ შეეცდება მისი რეიტინგის შელახვას.

***— პრაიდზე „ოცნებამ“ თქვა, რომ არ არის მიზანშეწონილი მისი გამართვა, რასაც დასავლეთიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. პოპულისტობს „ოცნება“ არჩევნების წინ?***

— „ოცნების“ წარმომადგენლებმა იციან, რომ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი პრაიდის წინააღმდეგია. ბევრს არ მოსწონს, როდესაც, სიტყვაზე, ვიღაც ეწევა აგიტაციას. მათ შორის ვარ მეც.

***— თქვენც აგიტაციად აღიქვამთ?***

— ამ შემთხვევაში — არა, მაგრამ ზოგჯერ არის ხოლმე. საუბრობენ სექსუალური უმცირესობების უფლებებზე, საუბრობენ ეროვნული უმცირესობების უფლებებზე და ა.შ., მაგრამ ჩვენთვის ამოსავალი უნდა იყოს კანონის უზენაესობა. ყველას უფლება უნდა იყოს თანაბრად დაცული.

***— მაგრამ ისინიც ხომ ამას ითხოვენ და ამიტომ არ გამოდიან?***

— კი, მაგრამ ზოგჯერ ამბობენ, ჩვენი უფლებები ილახებაო, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც თავადაც ლახავენ სხვის უფლებებს, მხედველობაში მყავს ცალკეული ადამიანები.

***— ამ თემის პოლიტიკურ კონტექსტს რომ დავუბრუნდეთ, ეს პოპულიზმია?***

— შესაძლებელია, მაგაზეა გათვლა, რომ „ქართული ოცნება“ ტრადიციებს ემხრობა, ტრადიციების მატარებელი პარტიაა და ა.შ.

***— არჩევნები რომ არ იყოს წინ, მაინც ამას გააკეთებდნენ?***

— კი, ისევ ასე მოიქცეოდნენ. რეიტინგი ყოველთვის სასურველია, თუმცა არჩევნების წინ, რა თქმა უნდა — განსაკუთრებულად.

# „რატომ უღირს ასე ძვირი მოსამართლეთა ეს ჯგუფი „ქართულ ოცნებას“?!

## რამაზ საყვარელიძე: „ჟვანიას გადადგომა მისი პირადი ინიციატივა იყო“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***— ბატონო რამაზ, ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეთანხმება რამდენად შესაძლებელია? თუ ფიქრობთ, რომ ოპოზიცია ივაჭრებს?***

— ძნელი სათქმელია, ოპოზიცია როგორ მოიქცევა, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში არაპროგნოზირებადი ნაბიჯები გადადგა. რასაკვირველია, ჭიდაობა იქნება. რთული სავარაუდოა, რომ მოიძებნოს ისე ცალსახად მხარდაჭერილი კანდიდატურა, როგორიც თამარ ჟვანია იყო თავის დროზე. მე ეჭვი მეპარება, რომ წარმოდგენილი კანდიდატურით ოპოზიცია კმაყოფილი იყოს თუ სხვა მექანიზმებით, მაგალითად, საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით არ მოხდება გარკვეული კონსენსუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქნება ის, რაც აქამდე იყო.

***— ითქვა, რომ მოსამართლეების შეუფერხებლად დანიშვნის სანაცვლოდ გაწირეს ჟვანია. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— სიმართლე გითხრათ, მე აქ ბმას ვერ ვხედავ. ძნელი მისაბმელია ეს ორი საკითხი ერთმანეთთან, მით უფრო, როდესაც საერთაშორისო საზოგადოებას ძალიან მძაფრი რეაქცია ჰქონდა მოსამართლეების საკითხზე. აქ არანაირი შეთანხმება არ იკითხება. ვფიქრობ, ჟვანიას გადადგომა მისი პირადი ინიციატივა იყო „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად. საერთოდ, პოლიტიკისთვის ასეთი რამ უცხო არ არის: თუკი ფიგურის მიმართ ნდობა შემცირებულია საზოგადოებაში ან საერთოდ პოლიტიკურ გუნდს ურჩევნია, ეს ფიგურა აღარ აგრძელებდეს მუშაობას. „ქართულ ოცნებას“



აღარანაირი უფლება არ ჰქონდა ჟვანიაზე ღიად ზემოქმედების, მაგრამ, არ არის გამორიცხული, რომ ისეთი კლიმატი შექმნეს, სადაც თავად ჟვანიამ აღარ ისურვა მუშაობის გაგრძელება.

***— მოსამართლეების დანიშვნის საკითხს რომ არ დათმობს „ოცნება“, ესეც აშკარაა. როგორ ფიქრობთ, მიუხედავად ასეთი წნეხისა, რატომ?***

— საერთოდ არ მესმის მოსამართლეების ამ ჯგუფისადმი ისეთი ვნებიანი სიყვარულის, რომელსაც „ქართული ოცნება“ ამჟღავნებს. არ მესმის იმიტომ, რომ პოლიტიკაში ასეთი სიყვარული მართლაც იშვიათია. პოლიტიკაში პოლიტიკოსები ჭადრაკს თამაშობენ, სადაც წირავენ ხოლმე ამა თუ იმ ფიგურას გარკვეული სვლის დროს. გაუგებარია, აუხსნელია, რატომ უღირს ასე ძვირი მოსამართლეთა ეს ჯგუფი „ქართულ ოცნებას“?! ნებისმიერი ახალი ჯგუფი, რომელიც მათ ადგილზე მოვიდოდა, იმავეს გააკეთებდა, ისეთივე ლოიალური იქნებოდა ხელისუფლების მიმართ, როგორიც ეს ჯგუფია. თავის დროზე ითქვა, თითქოს „ქართულ ოცნებას“ დასაწყისში შეეშინდა, რათა ამ ჯგუფს სიტუაცია არ აეყირავებინა. სხვათა შორის, ეს არ იყო მთლად გაუგებარი არგუმენტი. ასეთ ძლიერ ე.წ. გავლენის ჯგუფებს ამა თუ იმ სფეროში შეუძლიათ პრობლემების შექმნა სახელმწიფოსთვის. ამდენად, ასეთი შიში რომ ყოფილიყო თავის დროზე, 2012-2013 წლებში, გასაგებია, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ?! თუ ფიქრობ, რომ ადამიანებს შეუძლიათ, სისტემა ააყირავონ და ისინი მაინც აგრძელებენ მუშაობას, ეს უკვე მართლა გაუგებარია. ამიტომაც არის გაუგებარი და აუხსნელი ამ მოსამართლეების ასეთი თავგამოდებული დაცვა. ისინი უკვე „ქართულ ოცნებას“, პოლიტიკას უქმნიან საფრთხეს.

***— სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოიყენა ტერმინი „კლანი“.***

— დიახ, სწორედ ამაზე ვამახვილებ ყურადღებას. ამიტომ ვამბობ, რომ ვერ ვხსნი, სად არის ლოგიკა.

***— პოლიტიკური შეცდომაა მათი შენარჩუნება? მაშინ, როდესაც, როგორც თქვენ ამბობთ, იმავე დავალებას ნებისმიერი ახალი მიყვანილი შეასრულებს?***

— სხვა რა უნდა თქვა, თუ არა პოლიტიკური შეცდომა. ვიმეორებ, ყველა იქნება ხელისუფლების მიმართ ლოიალური.

***— წინ არის სერიოზული არჩევნები 43%-ის გათვალისწინებით. რამდენად ძვირად შეიძლება დაუჯდეს ხელისუფლებას ასეთი შეცდომები?***

— აქამდე ძვირად არ უჯდებოდა იმის ხარჯზე, რომ მისი ალტერნატივა იყო ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც უფრო მეტი შეცდომა აქვს დაშვებული. დღეს ეს რეალობა მეტნაკლებად შეცვლილია.

***— გახარიას ფაქტორის გათვალისწინებით?***

— დიახ. არ გამოვრიცხავ, კიდევ სხვა



მოთამაშეებიც შემოვიდნენ. მესამე ალტერნატივის გაჩენა ძალიან სახიფათოა ხელისუფლებისთვის და ეს კარგად იცის „ოცნებამ“. ამიტომ არის, რომ ასე დაუღალავად მუშაობს კობახიძე, რათა გახარია მიაბას ნაციონალურ მოძრაობას. მას სურს, ისევ იმ ფორმულით გავიდეს ამ არჩევნებზეც: ალტერნატივა არ არსებობს, თუ არა ჩვენ, დანარჩენი ყველა ნაციონალია.

***— კონკრეტულად გახარიას ალტერნატივის პოტენციალი რამდენად აქვს?***

— ეს დამოკიდებულია იმაზე, დაუშვებს თუ არა შეცდომებს, თუნდაც ისეთ შეცდომას, როგორიც იყო — არავის წინააღმდეგ ვიბრძვით. ბევრი რამ გახარიას გადაწყვეტილებებზეც იქნება დამოკიდებული.



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,

ნახატ სურათებს,

ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# „ოპოზიციისთვის ხმების დაცვა ურთულესი ამოცანაა“

## თამარ ჩხეიძე: „ჩემთვის მიუღებელია საზოგადოების ორივე რადიკალური ჯგუფი, რომელიც 5 ივლისს აქტიურობას აპირებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**ნიშნავს თუ არა საარჩევნო კოდექსში შეტანილი მთელი რიგი ცვლილებები და ცესკოს თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას გადადგომა, რომ მომავალი არჩევნები გაუყალბებლად ჩაივლის? რით შეიძლება მოსალოდნელი გაყალბების დაბლოკვა? რა სარგებელი აქვს „გოცების“ გამოყოფას „ქოცებიდან“? რატომ არ არის მოსაწონი 5 ივლისს დაგეგმილი აქტივობები? რა შედის რუსეთის ინტერესში? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.**



***– გატარდა მთელი რიგი ცვლილებები საარჩევნო კოდექსში. გადადგა ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია. არის იმის მოლოდინი, რომ მომავალი არჩევნები გაუყალბებლად ჩაივლის?***

– გაყალბება რომ არ მოხდეს, ეს იქნება პოლიტიკური სასწაული. საკანონმდებლო ცვლილებები გაყალბებას ვერ სპობს. გაყალბებასთან ბრძოლას განსაკუთრებული უზარმაზარი ძალისხმევა ესაჭიროება. ბოლო დროს გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები. ამ მონაცემებით, „ქართული ოცნება“ ვერ აგროვებს 43%-ს. რატომღაც ამან საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნაწილი ილუზიებში ჩააგდო. ის, თუ რა ციფრები იდება გამოკითხვების შედეგად, არ არის დაკავშირებული იმასთან, რას აპირებს მმართველი პარტია.

***– რას აპირებს?***

– ხელისუფლებას გაყალბების სქემები გამზადებული აქვს, ჯიბეში უდევს. ოპოზიციამ ანტიდოტი უნდა დაუპირისპიროს ყველა სქემას, რომელიც ხელისუფლებას ჯიბეში უდევს. „ქართულ ოცნებას“ ყველაფერი გაანგარიშებული ექნება. მაგალითად, თუ რეალურად აიღო 25%, დაიწერს 45%-ს და სხვა. ამიტომ დიდი გულუბრყვილობაა თავის დამშვიდება და სოციოლოგიური კვლევების მოშველიება. არსებობს გაყალბების ბევრი სქემა. ოპოზიციამ ერთად ყველაფერი უნდა გააკეთოს მათ „ჩასაჭრელად“.

***– ოპოზიციის ერთად მუშაობა ახსენეთ. არჩევნებისას კოორდინაციაზე დაშლილი ოპოზიციაც საუბრობს. ეს გამოუვათ?***

– ერთობლივი მუშაობა გაყალბების წინააღმდეგ აუცილებელია. სხვანაირად არაფერი გამოვა. ამისათვის არ არის აუცილებელი მთელი ოპოზიციის ერთიანი სია. ერთიანობის შემთხვევაშიც ძალიან რთული ამოცანაა გაყალბებასთან ბრძოლა. მით უმეტეს, ეს წარმოუდგენელია ერთობლივი მუშაობის გარეშე. გაყალბების სქემების გარდა, მმართველი პარტია იყენებს პირდაპირი ძალადობის, დაშინების, მოსყიდვის მეთოდებს. ამის წინააღმდეგ ოპოზიციას ურთულესი სამუშაოს ჩატარება მართებს. საარჩევნო კომისიაში წევრის ყოლა გადამწყვეტი არ არის. იქ უნდა იყვნენ მებრძოლი, ერთგული, კარგად გაწვრთნილი ადამიანები. ოპოზიციამ უნდა შეძლოს საკუთარი ხმების დაცვა. დიდი მნიშვნელობა აქვს სიტუაციას წინასაარჩევნო პერიოდში. ოპოზიციამ ხალხს განწყობა უნდა აუმაღლოს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გამოკითხვის შედეგებით დაკმაყოფილდეს და გულზე ხელები დაიკრიფოს.

***– დღეს რა სიტუაციაა? არჩევნებამდე სამი თვეა დარჩენილი. არის სიახლეები?***

– დღეს სიტუაცია არეულია. არჩევნებისთვის, ალბათ, დალაგდება. ვანო ჯავახიშვილმა გახარიას პარტიას „გოცები“ შეარქვა. გოცების ქოცებისგან გამოყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის სასარგებლოა. გასაგებია, რატომ. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, არ ვიცი, რა ურთიერთობაში იქნებიან ერთმანეთთან გოცები და ქოცები.




***– თქვენი დაკვირვებით, ყველას აწყობს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? მარტო „ქართულ ოცნებას“ არ ვგულისხმობ.***

– ელისაშვილს, ალბათ, არ აწყობს. სხვებიც იქნებიან, ვისაც არ უნდა ვადამდელი არჩევნები.

***– არსებობს ინფორმაცია, რომ აშშ საქართველოში რუსული გეგმების საწინააღმდეგოდ ხელს შეუწყობს მომავალ წელს ვადამდელი არჩევნების გამართვას, იმისდა მიუხედავად, მოაგროვებს თუ არა „ოცნება“ 43%-ზე მეტს. არის პოლიტიკური სპექტრი მზად საპარლამენტო არჩევნებისათვის?***

– წინა გამოცდილებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ალბათ, პარტიები ნაკლებად არიან მზად იმისთვის, რომ დაბლოკონ გაყალბების სქემები. ყველა სქემას უნდა დაუპირისპირონ ანტიდოტი და ყველა მათგანი უნდა დაბლოკონ. ოპოზიციონერები ამბობდნენ, უჩვენოდ საარჩევნო კომისიებში ბუზი ვერ გადაფრინდებაო. ბოლოს გამოვიდა, რომ ყველაფერს ვერ აკონტროლებენ და ხმებს ვერ იცავენ. ხმების დაცვა ურთულესი ამოცანაა. არ ვიცი, მზად იქნებიან თუ არა ამისათვის მომავალი წლის გაზაფხულისათვის.

***– 5 ივლისს ლგბტ-პრაიდის ფარგლებში დაგეგმილია თბილისში „ღირსების მარშის“ მოწყობა. ასევე იგეგმება მოწინააღმდეგეების შეკრება. მოწინააღმდეგე ჯგუფები აპირებენ, არ დაუშვან მსვლელობა.***

– ჩემთვის მიუღებელია ორივე რადიკალური ჯგუფი, რომელიც ამ დღეს აქტიურობას აპირებს. საზოგადოებაში ბევრს არ მოსწონს ჰომოსექსუალიზმი, ლგბტ-ღონისძიებები. მოგვწონს თუ არა, ყველას აქვს გამოხატვის უფლება. ამ საკითხზე აჟიოტაჟის ატეხას სიკეთე არ მოაქვს. ვინც ამაზე დავიდარაბას ტეხს, ნებსით თუ უნებლიეთ ეწევა ლგბტ-საზოგადოების პოპულარიზაციას. რატომღაც დამკვიდრდა უცნაური ტენდენცია – ლგბტ-ჯგუფები მოითხოვენ აღფრთოვანებას. მათ არ აკმაყოფილებთ საკუთარი უფლებების დაცვა. მათ სხვებისგან ქება და ტაში სჭირდებათ. ამით ისინი ზღუდავენ დანარჩენების უფლებებს. ყველას, ვინც მათით აღტაცებული არ არის, პროგრესის მტრებსა და რუსეთუმეებს ეძახიან (თუმცა მათ პრორუსებიც ეწინააღმდეგებიან). მეორე მხარე რადიკალური და აგრესიულია. ისიც ზღუდავს სხვების უფლებებს. ლგბტ-ჯგუფების მოწინააღმდეგეებს შორის ნამდვილად არიან პრორუსული გუნდები და პარტიები. ისინი ნერგავენ აზრს, თითქოს ჰომოსექსუალიზმი დასავლური მოვლენაა და დასავლეთთან ასოცირდება და თითქოს რუსეთი არის ტრადიციონალიზმის დამცველი. სინამდვილეში, ისტორიაში არის ფაქტები, რომ მამათმავლობა ფართოდ იყო გავრცელებული რუსეთში. ასე რომ, ჯობდა, ამ თემაზე ხმაური საერთოდ არ ყოფილიყო, არ დარღვეულიყო სიმშვიდე და სტაბილურობა. ყველანაირი რადიკალიზმი და დაპირისპირება საქართველოში შედის რუსეთის ინტერესში.

# თაკო ჩარკვიანი: „ჟვანიას გადაყენება მოსამართლეების უვადოდ გამწესებას ხომ არ უკავშირდება?“

პარლამენტის უფრაქციო დეპუტატის თაკო ჩარკვიანის აზრით, ცესკოს თავმჯდომარის პოსტიდან თამარ ჟვანიას გადადგომა, შესაძლოა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების არჩევის პროცესთან იყოს კავშირში.

– როდის ვითხოვდით ოპოზიცია ჟვანიას გადაყენებას და როდის ხდება... ხომ არ უკავშირდება ეს მოსამართლეების უვადოდ გამწესებას?! ამით დასავლეთს დაანახეს, რომ თამარ ჟვანია მოხსნეს, მაგრამ შარლ მიშელის დოკუმენტში ჩაწერილ სასამართლო რეფორმას არ ასრულებენ, – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“.

დეპუტატის შეფასებით, „თუ სასამართლო რეფორმა ახლა არ მივიღეთ, ქვეყნის განვითარება დამთავრებულია“, ოპოზიციამ კი ამ საკითხი გარშემო გაერთიანება უნდა შეძლოს.

– ხდება უვადოდ მოსამართლეების გამწესება და ვიღებთ ფასადურად შეცვლილ ჟვანიას. „ქართული ოცნება“ სასამართლო რეფორმას არ ატარებს, – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა.

# ნათელაშვილი: „მოვუწოდებ პრეზიდენტს, კანონპროექტს ვეტო დაადოს“



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტს მოუწოდებს, რომ საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს, რომელიც პარლამენტმა 3 მოსმენით მიიღო, ვეტო დაადოს.

ნათელაშვილის თქმით, ხელისუფლება შალვა ნათელაშვილის პარტიას ძირითად უფლებებს ართმევს.

– იმ შემთხვევაში, თუ გარისკავს პრეზიდენტი ზურაბიშვილი და ხელს მოაწერს ამ საშინელ დოკუმენტს, ქვეყნისთვის ლახვრად გამზადებულ კანონპროექტს, ნიშნავს, რომ იგი საბოლოოდ გახდება რუსი ოლიგარქის სისტემაში ერთ-ერთი მთავარი დამსჯელი და ის ადრე თუ გვიან ამ პოსტზე მოღვაწეობას გადაყენებითა და პასუხისგებაში მიცემით დაასრულებს.

მე მოვუწოდებ პრეზიდენტს, ხელი არ მოაწეროს და ვეტო დაადოს კანონპროექტს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის მოსაკლავად არის მომზადებული, – თქვა შალვა ნათელაშვილმა.

საარჩევნო კოდექსი პარლამენტმა მესამე მოსმენით 28 ივნისს დაამტკიცა.

კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა არც ნაციონალურმა მოძრაობამ და არც პარტია „ლელომ“.

კანონპროექტი პრეზიდენტს გადაეგზავნება ხელმოსაწერად და ამის შემდეგ შევა ძალაში.

# სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 3 პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე სამი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა პირებმა, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მოტყუებით დაირეგისტრირეს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წოდორეთში მდებარე სახელმწიფოს კუთვნილი 3 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 24.600 მ2. საქმეზე დანიშნული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეადგენს 1.267.781 ლარს.

გამოძიების დაწყებისთანავე მყისიერად იქნა დაყადაღებული მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდეგ დაუბრუნდება სახელმწიფოს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

გრძელდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

# სხვისი ნივთის ფარულად დაუფლების ფაქტზე ბრალდებულს 8 წელი მიესაჯა

ფოთის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლების ფაქტზე ბრალდებული მ.ზ. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 28 თებერვალს, თბილისში, შპს „უშბა დისტილერის“ საბაჟო ტერმინალიდან მ.ზ.-მ უნაგირა საწევარა ავტომანქანით ესპანეთში რეექსპორტზე გასაგზავნი შპს „დომაექსპრესის“ კუთვნილი ტვირთი – 298.000 კოლოფი სიგარეტი და 432 ცალი კარი ფოთის მიმართულებით სატვირთო კონტეინერით წაიღო. აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მ.ზ.-მ თანამზრახველებთან ერთად წინასწარ შეთანხმებით, საბაჟო ლუქის დაუზიანებლად კონტეინერის საკეტი გახსნეს და ფარულად დაეუფლნენ მასში მოთავსებულ 275.340 კოლოფ სიგარეტსა და 275 ცალ კარს. დანაშაულებრივი ჯგუფის ქმედებით შპს „დომაექსპრესს“ 224.687, 85 ლარის დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი მიადგა.

სამართალდამცველებმა მ.ზ. 22 მაისს სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ((ქურდობა, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით) წარედგინა.

ფოთის საქალაქო სასამართლომ მ.ზ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სასამართლოს განაჩენის აღსრულება შესაბამისმა სამსახურმა დაუყოვნებლივ უზრუნველყო და სასამართლო დარბაზში მყოფი მსჯავრდებული მ.ზ. ადგილზე დააკავეს.

რაც შეეხება დანაშაულში სხვა პირების მონაწილეობის ფაქტს, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე გამოყოფილია ცალკე წარმოებად და მიმდინარეობს გამოძიება.

# რუსთავში 5 წლის ბავშვი სასრიალოდან გადავარდა და გონება დაკარგა



რუსთავში, დასვენებისა და კულტურის ცენტრალურ პარკში, 5 წლის ბავშვი სასრიალოდან ჩამოვარდა, თავი დაარტყა და გაითიშა.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავს“ თვითმხილველმა განუცხადა, მცირეწლოვანი ბიჭი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფმა კლინიკაში უგონო მდგომარეობაში გადაიყვანა.

ბავშვი სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში შეიყვანა.

როგორც „ინფო რუსთავს“ სამედიცინო დაწესებულების გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეა გელაშვილმა განუცხადა, 5 წლის ბიჭი ამ დროისთვის კონტაქტურია და უტარდება შესაბამისი გამოკვლევები.

მისი თქმით, მცირეწლოვანს ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით თბილისში ბავშვთა საავადმყოფოში გადაიყვანენ.

# პროკურორი: „სასამართლო დარწმუნდება, რომ სარალიძის მკვლელობის საქმეზე გიორგი მენაბდემ დანაშაული ჩაიდინა“

1 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოში განზრახ ჯგუფურად ჩადენილ მკვლელობაში ბრალდებული გიორგი მენაბდის სასამართლო პროცესი გაიმართა. პროცესს ბრალდებული გიორგი მენაბდე უფლებადამცველებთან ერთად დაესწრო.

სასამართლო სხდომაზე მხარეებმა საკუთარი შესავალი სიტყვა წარმოთქვეს, შემდეგ პროცესზე მტკიცებულებათა გამოკვლევა ბრალდების მხარის მოწმეთა დაკითხვით გაგრძელდება.

აღნიშნული საქმის პროკურორის მირიან მეგრელიშვილის განცხადებით, გიორგი მენაბდის ბრალდებას საფუძვლად დაედო ახლად გამოვლენილი მტკიცებულებები, მათ შორის მოწმე გუგა ბარბაქაძის ახალი ჩვენება. ამასთან, გამოიკვეთა გარკვეული დამატებითი გარემოებები, რომელიც საქმის გამოძიების პირველ ეტაპზე ცნობილი არ იყო.

– გიორგი მენაბდის საქმის არსებითი განხილვის პირველი სხდომა გაიმართა. პროცესზე მხარეები სასამართლოს წინაშე შესავალი სიტყვებით წარვდექით. ბრალდების მხარემ სასამართლოს მოახსენა მთელი ის ისტორია როგორ მოვედით დღევანდელ დღემდე – როგორ დაიწყო კონფლიქტი 51-ე სკოლაში და რა მოხდა უშუალოდ ხორავას ქუჩა 4-ის ეზოში, კერძოდ, როგორ მიაყენეს ჭრილობები გიორგი ჯანაშიამ, მიხეილ კალანდიამ და გიორგი მენაბდემ დავით სარალიძეს. დაცვის მხარე არ დაეთანხმა წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გიორგი მენაბდე უდანაშაულოდ მიიჩნია, თუმცა მომდევნო სხდომიდან იწყება მტკიცებულებების გამოკვლევა ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვით. მივიჩნევთ, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად სასამართლო დარწმუნდება, რომ დანაშაული ნამდვილად გიორგი მენაბდის მხრიდან იყო ჩადენილი.

საქმეზე არც გამოძიება შეწყვეტილა და არც არსებითი განხილვა, 2017 წლის პირველი დეკემბრიდან დღემდე მოხდა რამდენიმე პირის პასუხისგებაში მიცემა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გიორგი მენაბდის ბრალდებას საფუძვლად დაედო ახლად გამოვლენილი მტკიცებულებები, რომლებიდანაც გამოვყოფდი გუგა ბარბაქაძის ახალ ჩვენებას. ასევე, გარკვეული დამატებითი გარემოებები გამოიკვეთა, რომლებიც საქმის გამოძიების პირველ ეტაპზე ცნობილი არ იყო, ეს უფრო მეტად გამოიკვეთება არსებითი განხილვის სხდომებზე, როდესაც მოწმეები მოვლენ და ჩვენებებს მისცემენ, – აღნიშნა მირიან მეგრელიშვილმა.

ამასთან, გიორგი მენაბდის ადვოკატის, დავით დადიანის, თქმით, საქმეში არავითარი ახალი ჩვენება არ არსებობს, რომლის საფუძველზეც გიორგი მენაბდისთვის წარდგენილი ბრალი დადასტურდება.



მისივე თქმით, მოწმე გუგა ბარბაქაძეს ჩვენება 2018 წლის პირველ ივლისს აქვს მიცემული, შესაბამისად, გაუგებარია, რატომ არ მოჰყვა ამას კონკრეტული მოქმედებები იმ პერიოდში.

– იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მისთვის ბრალის წარდგენა და ჩატარდა ახალი გამოძიებები, ბრალდების მხარემ ახალი ვერაფერი ვერ ნახა. ისევე როგორც არ უნდა რჩებოდეს დანაშაული დაუსჯელი, ასევე არ შეიძლება მერყევი მტკიცებულებებით ადამიანს მოვედავოთ და მოვათავსოთ საპატიმროში.

4 წლის განმავლობაში თუ ეს ყველაფერი ცნობილი იყო, ამ პერიოდის განმავლობაში რატომ არ მოჰყვა ამას ის მოქმედებები, რაც დღეს არის განვითარებული. არავითარი ახალი ჩვენება არ არის, ბარბაქაძის ჩვენება გახლავთ 2018 წლის 30 ივლისის ჩვენება, რომლითაც დადუნაშვილის მკვლელობას აბრალებდა გიორგი მენაბდეს, ამ დროს, სულ სხვა რაღაც დადგინდა, – აღნიშნა დავით დადიანმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დავით სარალიძის მკვლელობის საქმეზე გიორგი მენაბდე 15 აპრილს დააკავა. უწყების ინფორმაციით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ დაკავებულმა გიორგი მენაბდემ გიორგი ჯანაშიასთან და მიხეილ კალანდიასთან ერთად, ჯგუფურად, თან ნაქონი ბასრი საგნით, მოკვლის განზრახვით, არასრულწლოვან დავით სარალიძეს დაზიანებები მიაყენა.

2017 წლის პირველ დეკემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, რომელსაც ორი მოზარდის, დავით სარალიძისა და ლევან დადუნაშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა, მსჯავრდებულები იყვნენ გიორგი ჯანაშია, გუგა ბარბაქაძე და მიხეილ კალანდია. აღსანიშნავია, რომ დავით სარალიძის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაში მსჯავრდებულმა გიორგი ჯანაშიამ პენიტენციარული დაწესებულება უკვე დატოვა. ის ე.წ. უდოს კომისიამ გაათავისუფლა. მას საპროცესო შეთანხმების საფუძველზე 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული. რაც შეეხება მიხეილ კალანდიას, მას სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ პატიმრობა 11 წლითა და 3 თვის ვადით აქვს მისჯილი.

# გოგი წულაია ციხიდან გამოუშვეს

## „ასმათ დვალიშვილი უშიშროების თანამშრომელია“

„ახალი ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი გოგი წულაია პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

1 ივლისს გამართულ სასამართლო პროცესზე მოსამართლემ გოგი წულაიას ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მას 6.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ გოგი წულაიამ პირველი განცხადება გააკეთა.

– შალვა ნათელაშვილი, ნინო ბურჯანაძე და ლაშა ჩხარტიშვილი მიცხადებდნენ მხარდაჭერას, დანარჩენებს თავი არ მოუკლიათ. რაც შეეხება ასმათ დვალიშვილს, ის უშიშროების თანამშრომელია. სამი პატიმარი კი არის ციხეში მისი ბრალდებით და დროზე თუ არ გააჩერებენ, შეიძლება ციხე გაავსოს მარტო ამ ქალმა.

მე პოლიტიკური პატიმარი ვიყავი და ბერას გინებისთვის დამიჭირეს. თავს დამნაშავედ მარტო ჩემს მეუღლესთან ვგრძნობ, – განაცხადა მან.



გოგი წულაიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს. სამართალდამცავებმა წულაია 19 მარტს დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, წულაიამ ნაქირავებ ბინაში ნაცნობ ქალზე იძალადა.

# ტვ პირველზე თავდასხმისთვის გოჩა აფრასიძე დააკავეს





შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის წალკის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ტელეკომპანია „პირველის“ გადამღებ ჯგუფზე მომხდარ თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით 1967 წელს დაბადებული გოჩა აფრასიძე წალკაში დააკავეს.

დადგინდა, რომ გ.ა. მიმდინარე წლის 30 ივნისს, წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში, ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტსა და ოპერატორს დაუპირისპირდა, მათ შეურაცხყოფა მიაყენა და პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში უკანონოდ შეუშალა ხელი.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ძალადობისა და ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 126-ე და 154-ე მუხლებით მიმდინარეობს.

# ზესტაფონში მკვლელობის საქმეზე დაკავებული პოლიციელი თავს დამნაშავედ არ ცნობს

ზესტაფონში მომხდარი ვანო ბანცაძის მკვლელობის ფაქტზე დაკავებულებს ბრალი ჯერ არ წარდგენიათ. სამივე დაკავებული წინასწარი მოთავსების იზოლატორში რჩება.

დაკავებული პოლიციელის, ლევან ზირაქაძის ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი დუმილის უფლებას იყენებს და თავს დამნაშავედ არ ცნობს.

საქმეზე დაკავებულია მამა-შვილი. მამას გამოძიება მკვლელობას, შვილს კი მტკიცებულების განადგურებას ედავება. ადვოკატის თქმით, მტკიცებულების განადგურების ნაწილი სადაოა, მკვლელობის ნაწილზე კი გამოძიება გაგრძელდება.

# ბოლნისში მდინარეში პოლიეთილენის უამრავი ბოთლი გადაყარეს



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოზე, სადაც მოქალაქე მდინარეში დიდი ოდენობით პოლიეთილენის ბოთლებს ყრის, საქმის წარმოება დაიწყო.

სამართალდარღვევა ქვემო ქართლში, კერძოდ, ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოხდა. ასევე დადგენილია სამართალდამრღვევის ვინაობა.

„დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები სამართალდარღვევის ადგილს ათვალიერებენ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მომხდარზე კანონით გათვალისწინებულ ზომებს გაატარებს“, – წერია ზედამხედველობის სამსახურის განცხადებაში.

საქმის წარმოება დაწყებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 58-ე მუხლით ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე და მე-40 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ფაქტზე.

ჯერჯერობით უცნობია, რატომ გადაყარა წყალში ახალგაზრდა მამაკაცმა ბოთლები.

მიკროავტობუსის მეპატრონის ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ მეპატრონემ არაფერი იცოდა და მანქანა, უბრალოდ, მეგობრებს ათხოვა.

# საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდ „სოხუმისა“ და ბრიტანულ ხომალდ „HMS DEFENDER“-ის მონაწილეობით შავ ზღვაში ერთობლივი წვრთნები გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სადარაჯო ხომალდ „სოხუმისა“ და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ძალების ხომალდ HMS DEFENDER-ის ეკიპაჟების მონაწილეობით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ერთობლივი საზღვაო წვრთნები გაიმართა.

სწავლება რამდენიმე ფაზად განხორციელდა და მოიცავდა სხვადასხვა ელემენტს, მათ შორის, სამოქალაქო ხომალდების გადაადგილების მონიტორინგს, ეჭვმიტანილი ხომალდის ადგილმდებარეობის განსაზღვრას და მის გამოკითხვას, დაზიანებული ხომალდის ბუქსირების იმიტაციას და საზღვაო მანევრებს.

ერთობლივი წვრთნები ბრიტანელი კოლეგების გამოცდილების გაზიარებას, საქართველოს სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარებას და ორი ქვეყნის საზღვაო დანაყოფების ერთობლივი მოქმედებების დახვეწას ისახავდა მიზნად.



საზღვაო სწავლება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სამხედრო საზღვაო ფლოტის საჰაერო თავდაცვის თანამედროვე ტიპის გამანადგურებლის HMS DEFENDER-ის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა. გემი ბათუმის ნავსადგურში 26 ივნისს შემოვიდა. ხომალდის ვიზიტი მიზნად ისახავს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის დემონსტრირებას.

# პროფესორმა ელგუჯა ტარტარაშვილმა 46 წლის ქალს 9.600 კგ მიომური კვანძი ამოჰკვეთა

## კლინიკა „ჰერაში“ უპრეცედენტო ოპერაცია ჩატარდა



გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, 46 წლის ქალბატონი 9.600 კგ წონის საშვილოსნოს ინტრამურალურ მიომას ატარებდა. ოპერაცია პროფესორმა ელგუჯა ტარტარაშვილმა ჩაატარა.

სამედიცინო წრეებში ბატონი ელგუჯა ტარტარაშვილისგან მსგავსი ოპერაციების ჩატარება არავის გაუკვირდება, მაგრამ მიომის გიგანტური ზომის გამო გარკვეული რისკები არსებობდა, რომ მდგომარეობა დამძიმდებოდა. საბედნიეროდ, ოპერაციამ და პოსტოპერაციულმა პერიოდმა ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაიარა.

„მიომა ხშირად გვხვდება ქალბატონებში. დაავადების ძირითადი მიზეზი ჰორმონალური დისბალანსია. მკურნალობის მეთოდები სხვადასხვაგვარია. არის შემთხვევები, როცა მედიკამენტოზური მკურნალობა შედეგს იძლევა, უმეტეს შემთხვევაში ოპერაციული ჩარევაა საჭირო“, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ ელგუჯა ტარტარაშვილმა.

***– რას უნდა მიაქციოს ქალბატონმა ყურადღება, რომ მსგავსი დაავადება არ გამოეპაროს?***

– ყველა ქალბატონმა პერიოდულად უნდა მიმართოს გინეკოლოგს, გაუზიაროს საკუთარი ჩივილები და ექიმი ანამნეზის მიხედვით გადაწყვეტს შემდეგ მკურნალობის მეთოდებს. მიომის დროს ხშირია სისხლდენა, სიმძიმე მუცლის ღრუს ქვედა ნაწილში, გახშირებული შარდვა. ქალბატონებს ყველას საკუთარი მკერავი და პარიკმახერი ჰყავთ და რატომღაც არ ჰყავთ გინეკოლოგი. ექიმთან დროული ვიზიტის შედეგად ყველა პრობლემა თითქმის ბოლომდე ალაგდება.

***– რას ურჩევთ ქალბატონებს?***

– მიაქციეთ თქვენს ჯანმრთელობას ყურადღება. ოჯახს, შვილს სჭირდება ჯანმრთელი დედა. ექიმთან ვიზიტი არ გადადოთ, რადგან ქალის ორგანიზმი ერთი მთლიანი ჰორმონალური გენერატორია და თვითნებურად მიღებულმა წამალმა შეიძლება სრულად მოშალოს თქვენი ჯანმრთელობა. ქალის ორგანიზმი ყველა ასაკში ითხოვს ყურადღებას. ეცით საკუთარ თავს პატივი, მიმართეთ ექიმს და შეინარჩუნეთ ჯანმრთელობა.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბატონი ელგუჯას მკურნალობით მრავალწლიანი, მყარი უშვილობის დიაგნოზის მქონე ქალბატონებმა დედობა იზეიმეს.

„ერთ შემთხვევაში გვქონდა 13– წლიანი უშვილობა. წყვილმა ჩაიტარა გამოკვლევები, დავიწყეთ მკურნალობა და შედეგიც სასიხარულო გვაქვს, ქალბატონი დაფეხმძიმდა. წყვილებს მინდა ვუთხრა, იმედი არ დაკარგონ, სიმშვიდე შეინარჩუნონ და აუცილებლად აუხდებათ ოცნება“.

ელგუჯა ტარტარაშვილი ოქრომჭედელივით, საიუველირო სიზუსტით, გადამდები სიმშვიდით მუშაობს ოპერაციის დროს, – ასე ახასიათებენ მას ის კოლეგებიც, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მასთან ერთად საოპერაციო მაგიდასთან.

**ეკა ირემაშვილი**

# ისრაელის უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელი თანამდებობას ტოვებს



უსაფრთხოების საკითხებში ისრაელის მინისტრთა კაბინეტის მრჩეველმა და ამავდროულად ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელმა მეირ ბენ-შაბბათმა პრემიერ-მინისტრ ნაფტალი ბენეტს შეატყობინა, რომ ზაფხულის ბოლოს თანამდებობას ტოვებს.

„30 ივნისის საღამოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ხელმძღვანელმა პრემიერ-მინისტრს აცნობა, რომ ამ თანამდებობაზე მუშაობის ოთხი წლისთავზე ტოვებს პოსტს“, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრის კანცელარიის განცხადებაში.

ბენ-შაბბათი ზემოხსენებულ თანამდებობაზე 2017 წელს, ბენიამინ ნეთანიაჰუს პერიოდში დაინიშნა.

ის კურირებდა ისრაელის ურთიერთობების ნორმალიზების საკითხს არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან, ბაჰრეინთან, მაროკოსთან და სუდანთან.



# დონალდ რამსფელდი გარდაიცვალა

გარდაიცვალა აშშ-ის ყოფილი თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი. ის 88 წლის იყო.

რამსფელდს თავდაცვის მინისტრის პოსტი ჯორჯ ბუშ უმცროსის ადმინისტრაციაში ეკავა.

# საფრანგეთში ტურისტებისთვის კოვიდზე ტესტის გაკეთება ფასიანი ხდება



7 ივლისიდან საფრანგეთში ჩასული ტურისტებისთვის კორონავირუსზე ტესტის ჩაბარება ფასიანი გახდება. ამის შესახებ საფრანგეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, გაბრიელ ატალმა განაცხადა.

საფრანგეთის მთავრობაში აღნიშნავენ, რომ საფრანგეთში ჩასული უცხოელი ტურისტებისთვის პისიარ ტესტის ღირებულება – 49 ევრო, ხოლო ანტიგენის ტესტის ღირებულება 29 ევრო იქნება.

# ჰააგის ტრიბუნალმა სლობოდან მილოშევიჩის 2 თანამზრახველი გაასამართლა

ჰააგის ტრიბუნალის წინაშე წარდგა იუგოსლავიის ექსდიქტატორის სლობოდან მილოშევიჩის 2 თანამებრძოლი.

საუბარია იუგოსლავიის სპეცსამსახურების ხელმძღვანელ სტანიშიჩზე და სპეცრაზმის მეთაურ სიმანტოვიჩზე.

ტრიბუნალმა ორივეს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა.



# „ნავალნი ლაივის“ ყოფილი რეჟისორი დააპატიმრეს



დაპატიმრებულია ტელეარხ „ნავალნი ლაივის“ ყოფილი რეჟისორი ალექსეი იაკოვლევი. ის საგამოძიებო კომიტეტში მიიყვანეს. დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა.

იაკოვლევს ბრალად ედება ყალთაბანდობა. საუბარია „ნავალნის კორუფციასთან ბრძოლის ფონდისთვის“ გადარიცხული თანხების მითვისებაზე.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# მოძალადე მამინაცვლის მკვლელი ქალი პატიმრობას გადაურჩა




საფრანგეთის ქალაქ შალონ-სიურ-სონში ვალერი ბაკო, რომელმაც მოძალადე მამინაცვალი მოკლა, გაათავისუფლეს. სასამართლომ ოთხი შვილის დედას ერთი წლით პატიმრობა და სამი წლით პირობითი მიუსაჯა. ქალი პატიმრობას გადაურჩა, რადგან მას პატიმრობაში ჩაეთვალა წინასწარი გამოძიების დროს საპატიმროში გატარებული დრო.

ქალის თქმით, ის 12 წლის ასაკიდან განიცდიდა სექსუალურ, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას მამინაცვლის დანიელ პოლეტის მხრიდან, რომელიც მასზე 25 წლით უფროსი იყო. მამაკაცი დააპატიმრეს, მაგრამ ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ის ოჯახში დაბრუნდა. 17 წლის ასაკში ბაკო მამინაცვლისგან დაფეხმძიმდა და დედამ ის სახლიდან გააგდო. გოგონას წასასვლელი არსად ჰქონდა და იძულებული გახდა მამინაცვალთან ეცხოვრა. მოგვიანებით პოლეტმა მასზე იქორწინა.

მამაკაცი ქალს არა მარტო სცემდა, არამედ მის ცხოვრებასაც აკონტროლებდა. ის მას მუშაობის ან კონტრაცეპტივების გამოყენების უფლებას არ აძლევდა. მოგვიანებით ის ბაკოს საკუთარი ავტომობილის უკანა სავარძელზე მეძავობას აიძულებდა. ის მის ქცევას კლიენტებთან სპეციალური მოსასმენი მოწყობილობის გამოყენებით აკონტროლებდა და არაერთხელ დამუქრებია პისტოლეტით თუ ის უარის თქმას შეეცდებოდა. ამ ხნის მანძილზე, ქალს მისგან კიდევ სამი ბავშვი შეეძინა.

2016 წელს, როდესაც პოლეტმა საუბარი დაიწყო თავის 14 წლის ქალიშვილთან სექსზე, ბაკო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „ეს ყოველივე უნდა დასრულებულიყო“. ქალმა ქმარს მისივე პისტოლეტიდან ესროლა, შემდეგ კი თავის ორ შვილთან ერთად მისი გვამი ტყეში დამარხა. ქალი 2017 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს. მან დანაშაული აღიარა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ის გირაოთი გაათავისუფლეს.

აღნიშნულ საქმეს საზოგადოების ფართო გამოხმაურება მოჰყვა. ოჯახური ძალადობის საწინააღმდეგო კომპანიის მონაწილეებმა შეადგინეს პეტიცია, რომლითაც ქალისთვის ბრალდების მოხსნას მოითხოვდნენ. პეტიციას 710.000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი. სასამართლოზე პროკურორმა მოითხოვა, ბაკო ციხეში არ გაეშვათ. ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ ძალადობამ, რომელიც 20 წელი გრძელდებოდა, და ბავშვების დაცვის სურვილმა უბიძგა განსასჯელს დანაშაულის ჩადენისკენ. სასამართლოზე მისული მოკლული მამაკაცის ნათესავები პოლეტს მონსტრად აღწერდნენ, ხოლო მისმა 59 წლის დამ აღიარა, რომ 12 წლის ასაკში ის ძმამ გააუპატიურა.

# ტუალეტში შესულ მამაკაცს იქ მოზრდილი ვარანი დახვდა

ინდოეთის ქალაქ ვხუბანესვარში ტუალეტში შესულმა მამაკაცმა იქ მოზრდილი ვარანი აღმოაჩინა. პაბიტრა ბეხერა სახლში იმყოფებოდა, როდესაც ტუალეტიდან უცნაური ხმები შემოესმა. მან ტუალეტის კარი გააღო და იქ მოზრდილი ვარანი აღმოაჩინა.

ინდოელი მის სახლში რეპტილიის ასეთმა მოულოდნელმა გამოჩენამ შეაშინა და დახმარებისთვის გველებზე მონადირეს მიმართა.



შემთხვევის ადგილზე გველების დაჭერის სერვისის დამფუძნებელი სუბხენდუ მალიკი მივიდა. მან მოზრდილი ხვლიკი დაიჭირა და მოგვიანებით, მოშორებით ბუნებაში გაუშვა. ხოლო თუ როგორ აღმოჩნდა ვარანი ინდოელის სახლის ტუალეტში, უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## სპორტი — შედეგები

**30 ივნისი**

**ფეხბურთი**

### ნორვეგია. ელიტსერია

| | |
|---|---|
| ვიკინგი-სტაბეკი | 3:3 |
| მიოლდე-სტრომგოდსეტი | 3:0 |
| რუსენბორგი-ჰაუგესუნდი | 0:0 |
| სანდერფიორდი-ბოლო გლიმტი | 1:0 |
| ტრომსო-კრისტიანსუნდი | 0:0 |
| ბრანი-ლილესტრიომი | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

### კაცები

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ანდერსონი | 6:3,6:3,6:3 |
| სეპი-კუდლა | 2:6,4:6,2:6 |
| ევანსი-ლაიოვიჩი | 6:3,6:3,6:4 |
| გერასიმოვი-ხაჩანოვი | 1:6,6:7,3:6 |
| ფონინი-დიერე | 6:3,6:4,0:6,6:4 |
| კეპფერი-კვონი | 6:3,6:7,7:6,5:7,6:3 |
| ტიაფო-პოსპიშილი | 6:4,6:4,6:4 |
| შვარცმანი-ბროუდი | 4:6,6:2,6:1,6:4 |
| ოტე-მარი | 3:6,6:4,6:4,4:6,2:6 |
| ოანი-კორდა | 5:7,4:6,4:6 |
| ჰარისი-რუბლიოვი | 1:6,2:6,5:7 |
| კარაცევი-ჩარდი | 6:7,6:7,3:6 |
| ტომპსონი-რუდი | 7:6,7:6,2:6,2:6,6:2 |
| ნიშიოკა-ისნერი | 7:6,2:6,6:3,6:7,6:4 |
| მუტე-ბედენე | 4:6,4:6,0:6 |
| ნიშიკორი-პოპირინი | 6:4,6:4,6:4 |
| ბერეტინი-პელია | 6:4,3:6,6:4,6:0 |
| მუნარი-ივაშკა | 1:6,5:7,6:7 |
| ცონგა-იმერი | 5:7,7:6,7:5,4:6,3:6 |
| კუერი-კარენო ბუსტა | 7:6,6:4,7:5 |
| დაკვორტი-ალბოტი | 6:4,6:4,6:1 |
| პუიე-ნორი | 7:6,5:7,2:6,5:7 |
| გალანი-კორეა | 6:4,4:6,7:5,7:5 |
| ლონდერო-მაჯერი | 6:7,0:6,6:4,3:6 |
| ვერდასკო-დიმიტროვი | 6:3,3:6,4:6,4:6 |
| სონეგო-სოზა | 6:2,7:5,6:0 |
| ჩილიჩი-კარუზო | 7:6,7:6,6:1 |
| ფრიცი-ნაკაშიმა | 7:5,3:6,6:4,7:5 |
| კირგიოსი-უმბერტი | 6:4,4:6,3:6,6:1,9:7 |
| ოჟე ალიასიმი-მონტეირუ | 6:3,6:3,6:3 |
| ოკონელი-მონფილსი | 6:4,2:6,6:7,6:4,4:6 |
| კუკუშკინი-ბუბლიკი | 4:6,2:6,1:6 |
| ჯონსონი-ნოვაკი | 7:6,6:2,7:5 |

### ქალები

| | |
|---|---|
| ბუტლერი-სობოლენკო | 6:4,3:6,3:6 |
| მერტენსი-ჩჟუ | 6:2,6:0 |
| ლიუ-რიბაკინა | 4:6,4:6 |
| შვიონტეკი-ზვონარევა | 6:1,6:3 |
| პეგულა-სამსონოვა | 4:6,6:3,3:6 |
| პოდოროსკა-მარტინცოვა | 3:6,6:7 |
| ბეგუ-მარტიჩი | 7:5,6:7,6:3 |
| ალექსანდროვა-სერანო | 5:7,2:6 |
| გოლუბიჩი-კოლინზი | 6:2,6:0 |
| ბრენგლი-კენინი | 6:2,6:4 |
| პლიშკოვა-ვეკიჩი | 6:2,6:2 |
| დევისი-კიზი | 1:6,4:6 |
| ჟაბერი-ვ.უილიამსი | 7:5,6:0 |
| ანი-სტივენსი | 5:7,3:6 |
| ბოგდანი-პავლუჩენკოვა | 2:6,2:6 |
| კორნე-ანდრეესკუ | 6:2,6:1 |
| ტაიხმანი-ჯორჯი | 2:6,2:6 |
| მუხოვა-ჩჟანი | 6:3,6:3 |
| ლინეტი-ანისიმოვა | 2:6,6:3,6:1 |
| პირონკოვა-პუტინცევა | 3:6,1:6 |
| მინენი-ტომლიანოვიჩი | 2:6,6:7 |
| სევასტოვა-დიასი | 6:4,6:1 |
| ჰიბინო-პერა | 6:1,5:7,6:3 |
| კირსტეა-მარეი | 6:3,6:3 |
| ვონდროუშოვა-კონტევეიტი | 2:6,6:4,6:2 |
| კასატკინა-ტიგი | 6:0,3:6,6:3 |
| გოვორცოვა-ვანდევეი | 4:6,2:6 |
| პერესი-ბიურელი | 2:6,2:6 |
| აზარენკო-კოზლოვა | 6:1,6:3 |
| რადუკანუ-დიაჩენკო | 7:6,6:0 |
| ფერნანდესი-ოსტაპენკო | 1:6,2:6 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## საზოგადოება

# გიორგი გვარჯალაძე: „არტისტს რად უნდა ფული“



– არტისტს რად უნდა ფული – საზოგადოების მხრიდან მსგავსი დამოკიდებულება ძალიან სწყინს „ლენო რექორდსის“ ხელმძღვანელ გიორგი გვარჯალაძეს:

– არ შეიძინოთ მუსიკა, რა პონტია, ისედაც ხომ დევს იუთუბზე და ნუ შეიძენთ. მუსიკა ყველასია, უფასოა. არტისტს რად უნდა ფული, სადმე სხვაგანაც ხომ მუშაობს, იქ გადაუხდიან. თუ არადა, რა ეგონა, მამენტ, რამე საქმე ესწავლა...

მეც არ მინდა (მუსიკალურ გამომცემლობას/სტუდიას), ისედაც სტუდიაში ვეგდე დღე და ღამე აგერ უკვე 20 წელია, კაციშვილი არ ყიდულობდა ჩემთან ჩაწერილ მუსიკას და მე მაინც, თუ რამე შემოსავალი მაქვს, კიდევ ვალს ვიღებ, ვამატებ (იმიტომ, რომ არ ჰყოფნის) და ისევ სტუდიას ვაუმჯობესებ, თუმცა, ძილის წინ თუ გამახსენდა, რამდენი ვალი მაქვს, შეიძლება, აღარ დამეძინოს. არადა, ფულს რაშიც მიხდიან, იმას 20-ჯერ ნაკლებფასიანი სტუდიითაც გავაკეთებ, მაგრამ აქ მოსულ არტისტს ექნება ოცნება, რომ წავა და მაგარ სტუდიაში ჩაწერს.

მოკლედ, თქვენი ჭირიმე!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეზო გაბრიაძის სახელობის კინოდარბაზი გაიხსნა

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში რეჟისორ რეზო გაბრიაძის სახელობის კინოდარბაზი გაიხსნა.

გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

– რეზო გაბრიაძის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით ეროვნული ბიბლიოთეკის კინობიბლიოთეკასა და კინოდარბაზს რეზო გაბრიაძის სახელი ეწოდა და ლეგენდარულ ვირთხა იპოლიტესთან ერთად განახლებული ფორმით გაიხსნა.




# გიორგი ცხადაძემ უკრაინის საერთაშორისო ფესტივალზე იმღერა



ახმეტელის თეატრის მსახიობმა და მომღერალმა გიორგი ცხადაძემ უკრაინაში, კიევის ეროვნული აკადემიური ოპერეტის თეატრის მიერ ორგანიზებულ ოპერისა და მიუზიკლის საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. ამ ფესტივალში ხელოვანი უშუალოდ ახმეტელის თეატრის სახელით მონაწილეობდა.

„ო-ფესტ“ – ასე ეწოდება ფესტივალს, რომელშიც მსოფლიოდან 12 ქვეყანა ჩაერთო. გიორგი ცხადაძემ ყველასათვის კარგად ცნობილი „თბილისო“ შეასრულა, მეორე ტურში კი უკრაინელების ერთ-ერთი ცნობილი სიმღერა „ჩერნობრივცი“ იმღერა:

– ახმეტელის თეატრის სახელით უკვე მესამე დღეა, „ო ფესტ“-ის ფესტივალზე ვართ კიევში. ათასმეერთედ უკვე ვთქვი, რომ პანდემიაში პირველად გავედი ქვეყნიდან და ცალკე ამ ფაქტით ვარ გაგიჟებული. აქ წამოსული 12-ვე ქვეყანა ჩემს დღეშია.



# ავთო აბესლამიძემ ჯგუფი ჩამოაყალიბა

„იქს ფაქტორის“ გამარჯვებულმა მომღერალმა ავთო აბესლამიძემ ჯგუფი ჩამოაყალიბა. „ავტოსტოპი“ – ასე ჰქვია ჯგუფს, სადაც მან ნიჭიერი ადამიანები გააერთიანა და მსმენელს ბევრ კარგ სიახლეს ჰპირდება:

– მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ჯგუფის ავტოსტოპის პრეზენტაცია შედგა. მადლობა ყველას, ვინც მობრძანდით და ვინც სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე ვერ მოახერხა მოსვლა, მაგრამ მოგვილოცეთ, გაგიხარდათ და გვგულშემატკივრობთ. დიდი სტიმულია ჩვენთვის.

# რომან ფიფიასთვის ნეფთჩისთან წაგება კატასტროფა არ იქნება



7 ივლისს თბილისის დინამო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამო არენაზე“ ბაქოს ნეფთჩის უმასპინძლებს. ერთ კვირაში კი განმეორებითი თამაში უკვე აზერბაიჯანის დედაქალაქში გაიმართება.

დინამოს პრეზიდენტმა რომან ფიფიამ მოახლოებული დაპირისპირების შესახებ აზერბაიჯანულ მედიასთან ისაუბრა. ფიფია თქმით, შანსები თანაბარია, მაგრამ, თუ დინამო წააგებს, კატასტროფა არ იქნება.

**რომან ფიფია:**

– კარგია, რომ სწორედ ნეფთჩის შევხვდებით. დარწმუნებული ვარ, საინტერესო დაპირისპირება იქნება. შანსები თანაბარია და ყველაფერი მოედანზე გადაწყდება. ბიუჯეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გუნდის დაკომპლექტების დროს, მაგრამ ეს ყოველთვის გადამწყვეტი არ არის. ჩვენ ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები გვეზრდება. ვფიქრობ, რომ ნეფთჩისთან მარცხი კატასტროფა არ იქნება. მთავარია, გუნდებმა ლამაზი ფეხბურთი შემოგვთავაზონ.

კორონავირუსის პერიოდში მნიშვნელოვანი თემა იქნება გულშემატკივრების საკითხი. ფიფიამ განაცხადა, რომ თბილისურ მატჩზე მაყურებელი დასწრებას შეძლებს. აი, ბაქოში მატჩი კი, დიდი ალბათობით, უმაყურებლოდ გაიმართება.

– გულშემატკივრის როლი ფეხბურთში ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნიან და პოზიტიურია, რომ თბილისურ მატჩზე მაყურებელი იქნება.

საგულისხმო დეტალია, რომ საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდის მფლობელი საუბრობს საკითხზე, რომელიც წლებია, ქართველ გულშემატკივარს აღელვებს. ფიფია დამაჯერებლად აცხადებს, რომ აზერბაიჯანულ გუნდთან წაგება კატასტროფა არ იქნება. თუმცა, ალბათ, მართალია – დინამოს მისი მმართველობის პერიოდში გაცილებით დაბალი დონის გუნდებთან წაუგია.

# ოთარ კაკაბაძე: „მაკედონიასთან წაგების შემდეგ მთელი საქართველო ტიროდა“



საქართველოს ნაკრების მცველმა ოთარ კაკაბაძემ ესპანური ტენერიფე რომ დატოვა და პოლონურ კრაკოვიაში გადავიდა, უკვე იცით.

პოლონურმა კლუბმა გასულ სეზონში მე-14 ადგილი დაიკავა და უძლიერესთა შორის ადგილი რის ვაივაგლახით შეინარჩუნა. ახლა უფრო სერიოზული გეგმები აქვს, მაგრამ, რამდენად შეძლებს ამას და რამდენად დაეხმარება კაკაბაძე, ამას სეზონის მიმდინარეობისას ვნახავთ.

კრაკოვიას ვებგვერდზე ოთარ კაკაბაძესთან ინტერვიუ გამოქვეყნდა.

***– როგორ გრძნობთ თავს მას შემდეგ, რაც ახალ კლუბს შეუერთდით?***

– ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რომ კრაკოვიას დიდი ოჯახის წევრი გავხდი.

***– როგორ გადაწყვიტეთ კლუბთან კონტრაქტის გაფორმება?***

– კრაკოვიას მხრიდან დიდი ინტერესი იყო. ვნახე კლუბის ინფრასტრუქტურა, ვნახე სტადიონი და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ვიცი, რომ კრაკოვიას დიდი მიზნები აქვს. ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია, ვიბრძოლოთ რაღაც დიდისთვის.

***– სხვადასხვა ქვეყანაში გითამაშიათ. დანიური ცივი ჰავის შემდეგ ადაპტირდით ესპანურ ცხელ ჰავასთან. ეს ფაქტორები დაგეხმარებათ იმაში, რომ პოლონეთშიც სწრაფად გაიაროთ ადაპტაცია?***

– დიახ, უკვე ბევრ ქვეყანაში ვითამაშე. ფეხბურთში საქმე ისეა, რომ არ იცი, რა შეიძლება მოხდეს ყოველ შემდგომ სეზონში. ამ კონკრეტულ მომენტში მე ვარ ბედნიერი, რომ ვარ თქვენთან ერთად, რომ ვარ კრაკოვში.

***– უკვე 6 წელია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშობთ. ბევრი თქვენი თანაგუნდელი თამაშობდა სხვადასხვა დროს პოლონეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. მაგალითად, ვალერიან გვილია და ნიკა კაჭარავა, გიორგი მერებაშვილი, ახლა ნიკა კვეკვესკირი აქ არის. თუ ესაუბრეთ მათ?***

– ეროვნული ნაკრები განსაკუთრებული რამაა, განსაკუთრებული შეგრძნებაა, როცა მინდორზე გადიხარ და შენი ქვეყნისთვის თამაშობ. დიახ, ბევრი მეგობარი მყავს, რომელთაც აქვთ პოლონეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის გამოცდილება და, რა თქმა უნდა, ველაპარაკე მათ, ასევე – ჩემი ოჯახის წევრებს. ამის შემდეგ მივიღე ის გადაწყვეტილება, რაც მივიღე.

***– რა გსმენიათ ჩვენს ქვეყანასა და ექსტრაკლასაზე?***

– ვიცი, რომ ეს არის ლიგა, რომელშიც ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ, რომ არის ბევრი ძლიერი გუნდი, თამაშებს არ ჰყავს გამოკვეთილი ფავორიტი. ეს ნიშნავს, რომ ამ ლიგაში მაღალი დონეა.

***– რა არის თქვენი მიზანი კრაკოვიაში?***

– მიზანი არის ის, რომ მომავალი სეზონი დავასრულოთ სატურნირო ცხრილის რაც შეიძლება მაღალ საფეხურზე. უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რომ ყოველ თამაშზე მოსაგებად გავიდეთ მინდორზე. ერთი წლის წინ ამ გუნდმა პოლონეთის თასი მოიგო. ამდენად, კიდევ ერთხელ ვიტყვი – კრაკოვიას შეუძლია, მომავალ სეზონში ტიტულისთვის იბრძოლოს.

***– დაბოლოს, ევროპის ჩემპიონატზე გკითხავთ. მართალია, საქართველოს ნაკრებმა ვერ შეძლო ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა, მაგრამ თამაშებს, ალბათ, მაინც ადევნებთ თვალს.***

– რა თქმა უნდა, ვუყურებ ევროპის ჩემპიონატს. დიდ ტურნირებს მთელი მსოფლიო უყურებს და არც მე ვარ გამონაკლისი. რაც შეეხება კვალიფიკაციის წაგებულ ფინალს, იმ მატჩის შემდეგ მთელი საქართველო ტიროდა... მაგრამ ეს ფეხბურთია. ეს იყო ერთი თამაში და ეს თამაში წავაგეთ. ჩვენ წინ ვიყურებით. ჩვენ კიდევ არაერთი შანსი გვექნება დიდ ტურნირებზე მოსახვედრად და, იმედი მაქვს, ამ შანსს აუცილებლად გამოვიყენებთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# წყალბურთი: საქართველოს ნაკრები ბოლო ადგილზე დარჩა



თბილისში მიმდინარე წყალბურთში მსოფლიო ლიგის სუპერფინალი საქართველოს ნაკრებმა ბოლო ადგილით დახურა.

დასკვნითი შეხვედრა დეიან სტანოიევიჩის გუნდმა საფრანგეთის ნაკრებთან ძალიან სუსტად ჩაატარა და 5:10 დამარცხდა.

პირველი გოლი ჩვენების იყო, შემდეგ ფრანგებმა ზედიზედ სამი გაიტანეს და მეოთხედიც მოიგეს. მეტოქეს აღებული ტემპი მესამე მეოთხედის ბოლომდე არ დაუგდია და დასკვნითი პერიოდის წინ 8:3 დაწინაურდა. მხოლოდ ბოლო მეოთხედი გავახერხეთ ფრე და ფრანგებს სხვაობის გაზრდის საშუალება აღარ მივეცით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრებმა ამ ტურნირზე მხოლოდ ერთი მატჩი იმარჯვა და პირველ ტურში იაპონია 13:12 დაამარცხა, თუმცა შემდეგ ყველა მატჩი წააგო. იაპონიის ნაკრებმა კი ტურნირზე მეხუთე ადგილი დაიკავა.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

# სამგლოვიარო განცხადებები

## მიმოზა ჩიქოვანი-ტაბაღუას მონატრება



მიმოზა! 3 ივლისი შენი დაბადების დღეა. შენი სამი დაბადების დღე გავიდა უჩვენოდ. სამი ზაფხულის ლამაზ დღეს ვერ მოგესიყვარულე, უშენობა მანადგურებს, მენატრები... ვერა და ვერ შევეგუე იმას, რომ შენ აღარ მყავხარ, ვერ გხედავ, აღარ გიყურებ მუდამ მოღიმარი, სიხარულითა და სიყვარულით სავსე თვალებით. სამი წელი შესრულდება მალე, ერთად არ ვართ, მაგრამ შენ მუდამ ჩემთან ხარ. მე ამას ყოველდღე და ყოველწუთს ვგრძნობ. უშენობა ძალიან მიჭირს. წახვედი ჩუმად, ზედმეტი ხმაურის გარეშე, რითაც უფრო დიდი ტკივილი და მოუშუშებელი ჭრილობა დამიტოვე. ამ ტკივილებით ვარსებობ და, სანამ პირში სული მიდგას, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. მიმოზა! სამი წელი შესრულდა, რაც საწუთრო დატოვე და ვიცი, შენმა სულმა განვლო განსაწმენდელი, იქ, ღვთიურ საუფლოში დანავდა და ახლა ზეციური საქართველოდან მრავლისმეტყველი ღიმილით უმზერ მზისქვეშეთში მოფუსფუსე ყველა მოკეთესა თუ უკეთურს, ყველა მოკვდავს, ყველას, ვისაც შენდამი სიყვარული არ განელებია და შენი სიკეთე მივიწყებისთვის არ გაუტანებია... მიმოზა! შენ იყავი რჩეულთა შორის გამორჩეული, სასახელო ადამიანი და სახელოვნად გადახვედი იქით, ცათა საუფლოში ისე, რომ არ შიშობდი, რომ ბნელში დაინთქმებოდა შენი სახელი, რადგან შენში ღვთიური სული ტრიალებდა, ჩემო უსაყვარლესო და მარად დაუვიწყარო მიმოზა. ამიტომ მჯერა, უფალს თავისთან ეყოლები.

მშვიდად განისვენე, ჩემო უფლის ნაჩუქარო მეუღლევ, წარსულის ტკბილო მოგონებავ და მომავლის მოურჩენელო დარდო და ტკივილო!

**შენი გულდაწყვეტილი მეუღლე ვლადიმერ ტაბაღუა**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჭერზე საკიდი სანათი მოწყობილობა; 2. ჩეხური საავტომობილო კომპანია; 3. სხივთმოსილი წმინდა თასი; 5. დადუღებული ყურძნის წვენი; 6. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 8. რაჭაში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 10. პროტესტის გამოხატვის დიპლომატიური მეთოდი; 12. გამომშრალი, გამხმარი ყურძენი; 14. მცენარის ფოთლებზე შეყინული ორთქლი; 15. ქართული ხალხური ცხენოსნური შეჯიბრება; 16. მუზეუმი მადრიდში.

**თარაზულად:** 1. გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 4. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 7. მონასტერი სამაჩაბლოში; 9. ანსამბლ „ბიტლზის“ ერთ-ერთი წევრი; 11. ოდესის ძველი სახელწოდება; 12. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 13. გვარის, თემის წინამძღოლი სვანეთში; 17. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 19. სასადილოების რიგი ძველ თბილისში; 20. უალკოჰოლო, გამაგრილებელი სასმელი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ობლიგო; 2. ლაციო; 3. გრივნა; 4. დარიკო; 6. პოდიუმი; 9. მალტა; 11. ველვეტი; 15. ხორნაბუჯი; 16. სატივე; 17. მისისპი; 19. ამანათი; 21. მაქმანი; 22. ბებუთი.

**თარაზულად:** 5. აბაკელია; 7. ორაგული; 8. ორბანი; 10. მაშტოცი; 12. კანიო; 13. ელესა; 14. კატეხიზმო; 18. ლავრა; 20. ტანინი; 23. ლეკალო; 24. ქუჯი; 25. დავოსი; 26. თუჯი; 27. ინდოეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. წიდა; 2. ძმარი; 3. სპარტა; 5. რაგბი; 6. ნიველირი; 8. პრეფერანსი; 10. ბილაინი; 12. ბონდერი; 14. ცერული; 15. რაპირა; 16. დიანა.

**თარაზულად:** 1. წულაძე; 4. ტრიკონი; 7. გრაცია; 9. ტუნისი; 11. თერაპია; 12. ბუდეშური; 13. ხამონი; 17. იბერია; 18. ანსა; 19. ფრენბურთი; 20. პირამიდა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


2 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 3.1659 |
| ევრო | — 3.7639 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 4.3876 |
| 100 რუსული რუბლი | — 4.3274 |

## ამინდის პროგნოზი 2 ივლისისათვის




## ფრენკი დე იონგი ბარსელონის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს



ბარსელონის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ჰოლანდიელი ფრენკი დე იონგი დაასახელეს და მან ამ პრიზისთვის ბრძოლაში ლიონელ მესისაც აჯობა.

გასულ სეზონში დე იონგმა 7 გოლი გაიტანა, 8 საგოლე გადაცემა გააკეთა და ის განსაკუთრებით სასარგებლო სეზონის მეორე ნახევარში იყო, როდესაც ბარსელონამ გამარჯვებები დაიწყო. მიუხედავად ამისა, დე იონგის გამარჯვება ბევრისთვის მაინც მოულოდნელი იყო, რადგან მესის კარგი სეზონი ჰქონდა და მან ესპანეთის ჩემპიონატში 30 გოლი გაიტანა.

## მბაპემ პსჟ-ს ახალ კონტრაქტზე უარი უთხრა

კილიან მბაპეს პსჟ-დან წასვლა უნდა და მან ამის შესახებ უკვე პარიზული გუნდის ხელმძღვანელობასაც აცნობა, როდესაც ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას მბაპე, თუმცა ყველაზე მეტად მის სახელს მადრიდის რეალს უკავშირებენ.

შეგახსენებთ, რომ მბაპემ ევროპის ჩემპიონატი ცუდად ჩაატარა და საფრანგეთი მისი გაფუჭებული პენალტის შემდეგ გამოეთიშა ტურნირს.

## სანიოლმა საფრანგეთის ნაკრები გააკრიტიკა



საქართველოს ნაკრების ფრანგმა მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმა თავისი ქვეყნის მარცხზე ისაუბრა და საფრანგეთის ნაკრები გააკრიტიკა კიდეც. სანიოლის თქმით, გუნდი არასწორი ტაქტიკით თამაშობდა და მარცხიც ამის ბრალია:

— შვეიცარიასთან კარგად მხოლოდ 20 წუთი ვითამაშეთ, დანარჩენი დრო კი ჩემთვის ნაკრების ტაქტიკა გაუგებარი იყო. არ გაგვიმართლა, მაგრამ წაგების მიზეზი მხოლოდ ეს არ არის. დეშამმა დასკვნები უნდა გააკეთოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— იცი, ჩემი ვიბრატორი მღალატობს.

— საიდან მოიტანე?!

— ბატარეა სწრაფად უჯდება...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

— შენი ქურთუკის ჯიბეში ტყვიები და არაბულ ენაზე დაწერილი წერილი ვნახე, რა, ტერორისტებს დაუკავშირდი?

— საერთოდ ეგენი ბუასილის სანთლები და ექიმის რეკომენდაციაა.

•••

ქალს საბავშვო ბაღის გამგე უებნება:

— სამწუხაროდ, თქვენ ბავშვს ჩვენ საბავშვო ბაღში ვერ მივიღებთ.

— რატომ?

— ეს მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეების შვილებისთვისაა.

— კი მაგრამ, მე თუ ის უცნობი ჯარისკაცისგან მყავს?

•••

ქუჩაში ტელეჟურნალისტი ინტერვიუს იღებს.

— ეთანხმებით მთავრობის დადგენილებებს და სამომავლო გეგმებს:

— რა თქმა უნდა. ჩვენ ქვეყანაში გვეყოლება უფრო მეტი კვალიფიციური მასწავლებელი და ექიმი. ამაღლდება მოსახლეობის განათლების დონე, გაიზრდება ნიჭიერი მეცნიერების რაოდენობა.

— უკაცრავად და რომელ ქვეყანაში?

— ჩვენ ქვეყანაში.

— და რომელი ქალაქიდან ხართ?

— თელ-ავივიდან...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## რეზო ამაშუკელი პოლიტიკურ პარტიას აყალიბებს



85 წლის პოეტმა რეზო ამაშუკელმა გადაწყვიტა, პოლიტიკური პარტია ჩამოაყალიბოს:

— ვაყალიბებ ახალ პოლიტიკურ პარტიას!

ამ დღეებში ჩემი წარმომადგენელი დაიწყებს მოლაპარაკებას ორ ყველაზე რეიტინგულ და პოპულარულ პერსონასთან.

დიდი იმედი მაქვს, რომ მე მივაღწევ მათ თანხმობას.

## გურამ მეგრელიშვილი პრემია „საბას" უსამართლობაზე ალაპარაკდა



მწერალი გურამ მეგრელიშვილი ლიტერატურული პრემია „საბას" უსამართლობაზე ალაპარაკდა:

— კონკურსი „საბა" წელს თუ გახდა მხოლოდ არაობიექტური თავისი არსით ავტორების მიმართ, რამენაირად გადაიტანს ლიტერატურული პროცესი, მაგრამ ამის არ მჯერა. ჩემი დამოკიდებულებით და, ყველას ჩვენი დამოკიდებულება გვაქვს, ცხადია, ის ყოველთვის იყო და ალბათ დარჩება კიდეც შიდაკლანურ, ჯიგრულ-მეგობრულ, ახლობლურ, „წელს ამას უწევს", „მაგას არ უჭირს, ფული აქვს და სხვას დავეხმაროთ" პრემიად.

მხოლოდ ერთი დიდი უსამართლობა კი მგონია კატო ჯავახიშვილის, რაც წავიკითხე იმათგან, ძალიან მაგარი პიესის არაგაშორტლისტება. იმედია, წაიკითხა ჟიურიმ. ჩემს წიგნებს, როგორც პირადი საუბრებიდან ვიცი, არ კითხულობდნენ ან კითხულობდნენ ხანდახან, ან ჟიურის წევრების ნაწილი მომწერდა ხოლმე, მე ხმა მოგეცი, აი, სხვამ დაგბლოკა, არ ევასებიო.

პ.ს. ეს ნაწილია იმ მთლიანი პროცესისა, რასაც ჰქვია სალიტერატურო სფეროში გარკვეული ადამიანების მცდელობა, რომ საერთო „ქვაბი" მთლიანად დაიდგან და თქვლიფონ მარტომ. თუ ეს ასე არაა, შეგვიძლია, ელემენტარულად დავთვალოთ ყველაფერი, კერძო პრემიის გვერდით კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული ცალკეული ადამიანების ვიზიტები და სათარგმნად შერჩეული წიგნები. ფინანსები მათემატიკაა, ამ უკანასკნელს კი ანგარიში უყვარს.

პ.პ.ს. ჩემი წიგნები არ იყო კონკურსზე შეტანილი და საკუთარი ჭოგრიტიდან არ ვწერ. თავის დროზე ბევრი ტექსტი გადადეს გვერდზე წუნის გამო.

საბოლოო ჯამში, ყველა პრემიის არსებობა ძალიან კარგი და მნიშვნელოვანია, ამიტომაც არასოდეს მიწუწუნია და მიბობოქრია, მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობ, არცთუ ისე ურიგო წიგნებს, 2 რომანს, ამდენივე პიესასა და სამჯერ მეტ მოთხრობების კრებულს მხოლოდ ლიტერატურული პრემია „საბა" 2007 წლიდან ვერ სწყალობდა.

ვულოცავ ამ, იმის წინა, წინისწინა და მომდევნო წლების ყველა ფინალისტს მოკლე სიასაც და გამარჯვებასაც.

## ეკა ჩხეიძეს ჭორებს უგონებენ



მსახიობ ეკა ჩხეიძეს ჭორებს უგონებენ. ყურადღების ცენტრში ყოფნას ხელოვანი, რასაკვირველია, მიჩვეულია, მაგრამ ბოლო ტყუილი, რომელიც საკუთარ თავზე გაიგო, მისთვის ძალიან არასასიამოვნო აღმოჩნდა:

— მიხედეთ საკუთარ ცხოვრებას და იყავით ბედნიერები, ვინმე გიშლით? დაანებეთ თავი ჩემს კრიტიკასა და ჩემი ცხოვრების ქექვას, თორემ საკუთარი ჩაგივლით უინტერესოდ. რა ამბავია ამდენი ბოღმა და შური? ან ეს რა ჭორია, გავიგე, რომ თურმე ახალგაზრდა საყვარელი მყავს, თანაც შავი სამყაროს წევრი. მადლობა ინფოსთვის, არ ვიცოდი.

## მდინარეში სამი დღის გდების შემდეგ სმარტფონი ამუშავდა



წყალში ჩავარდნილმა iPhone-მ მდინარის ფსკერზე სამი დღე დაყო და მთელი ამ დროის მანძილზე მუშაობდა.

ამერიკელი ტომი ადამსის თქმით, აიდაჰოს შტატში მდინარე სნეიკზე, მეუღლესთან ერთად ბაიდარებით სეირნობდა, როდესაც მათი ნავი ნავმისადგომის სიახლოვეს გადაყირავდა. ამის შედეგად მდინარის ფსკერზე აღმოჩნდა გასაღებების შეკვრა, საფულე, ანკესი და მისი სმარტფონი.

ძლიერი დინების გამო წყალში ჩაძირული ნივთების დამოუკიდებლად ძებნა მეტად სახიფათო იქნებოდა. ამის გამო ადამსი ბინგემის ოლქის სამაშველო სამსახურს დაუკავშირდა. ასეთი ამოცანის შესრულება მაშველების მოვალეობაში არ შედის, თუმცა ისინი ასეთ რამეს სავარჯიშოდ იყენებენ.

შემთხვევიდან სამი დღის შემდეგ მაშველებმა დაკარგული ნივთების მოსაძებნად დრო გამონახეს და ადგილზე მივიდნენ. მყვინთავები, იმისთვის, რომ ისინი ძლიერ დინებას არ წაეღო, იძულებულები იყვნენ თოკებით ნავმისადგომზე ყოფილიყვნენ მიბმულები. ძებნის დაწყებიდან 20 წუთში ერთ-ერთმა მაშველმა მამაკაცის სმარტფონი ამოიტანა, რომელიც, ყველას გასაკვირად, ისევ მუშაობდა.

— მაღვიძარა, რომელიც კვირას დავაყენე, ჯერ ისევ რეკდა! — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ადამსმა.

მყვინთავებმა მამაკაცის ანკესის და გასაღებების პოვნაც შეძლეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დათო ხუჯაძე დაქორწინდა



მომღერალი დათო ხუჯაძე დაქორწინდა. მისი რჩეული ეკა დალაქიშვილია. წყვილმა ქორწილი აჭარაში, ჩაქვის ოაზისში გადაიხადა.

დათოსა და ეკას ქორწილს ცნობილი სახეები და რუსეთიდან ჩამოსული სტუმრებიც ესწრებოდნენ.

წყვილის ბედნიერების ამსახველი ვიდეოები ინტერნეტში გავრცელდა. მათ დუეტშიც იმღერეს და მიწვეული სტუმრები სასიამოვნოდ აღფრთოვანებული დატოვეს.

დათომ და ეკამ ერთმანეთი აეროპორტში გაიცნეს, დამეგობრდნენ და ისე შეუყვარდათ ერთმანეთი, რომ ოჯახის შექმნა გადაწყვიტეს. მომღერლის რჩეული პროფესიით ლოტბარია, საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი დაამთავრა, თუმცა თავისი პროფესიით არ უმუშავია.

დათო ხუჯაძისთვის ეს მეორე ქორწინებაა. პირველად მომღერალი ნათია ონიანზე იყო დაქორწინებული და მასთან ქალიშვილი, მელანია, ჰყავს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



2 ივლისისათვის

**ვერძი** — ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **კურო** — საყიდლებზე წასვლას პლანეტები არ გირჩევენ. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. **ტყუპები** — კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **კირჩხიბი** — მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **ლომი** — საოჯახო საქმეები დიდ დროსა და ენერგიას დაგახარჯვინებთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით. ერიდეთ წვრილმან საქმის გარჩევებს. **ქალწული** — ადამიანები გენდობიან. ეცადეთ, მათ იმედი არ გაუცრუოთ. უცნობებს თქვენს საქმეებში ნუ გარევთ. **სასწორი** — პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია. **ღრიანკალი** — ფინანსური სიძნელეები შეგხვდებათ. მეგობრები ყოველგვარ გასაჭირში უყოყმანოდ დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** — პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისათვის მზად იყავით. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თხის რქა** — მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. დღეს დაისვენეთ ან საოჯახო საქმეებს მიხედეთ. **მერწყული** — წინააღმდეგობრივი დღეა. აგრესიისა და ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. **თევზები** — მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. საზღვაო მოგზაურობა; 2. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 3. ხელოვნური არხების სახელწოდება ნიდერლანდებში; 4. შტატი აშშ-ში; 6. ეგვიპტის მმართველთა ტიტული; 9. სპირტიანი სასმელი; 11. უცნაური, სასაცილო შემთხვევა, ამბავი; 15. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 16. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 17. ქართველი ქორეოგრაფი, „ხელოვნების ქურუმის" ტიტულის ლაურეატი; 19. შინაგანი ბიძგი, მისწრაფება, რაიმე მოქმედების შესასრულებლად; 21. ლეღვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 22. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი.

**თარაზულად:** ამერიკელი მწერალი, რომან „ფინანსისტის" ავტორი; 7. ნახტომი ბალეტში; 8. ფრანგი მოდელიერი; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 12. ზნეობრივ-დამრიგებლური ხასიათის მოკლე, ალეგორიული მოთხრობა; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული მეტალურგიულ-მანქანათმშენებელი კონცერნი; 14. სურსათ-სანოვაგის ბაზარი ძველ თბილისში; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 20. მდინარე სვანეთში; 23. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 24. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 25. დამატებითი ჯილდო, პრემია; 26. დედალი ჯიხვი; 27. ტროპიკული ხილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

